ოქუმის სკოლა -170
(1851 - 2021)

შემდგენელი - მთ.რედაქტორი: **ზურაბ ჯგუბურია**

მეცნიერ -კონსულტანტი: **ჯემალ გამახარია**

ტექ. რედაქტორები: **ნანა შამუგია, ბაბილინა ბულისკერია**

ინგლისური ტექსტი: **ნინო ხოხობაია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გიორგი შელია**

დიზაინი: **ლევან ბარბაქაძე**

ცალკეული დეტალების დაზუსტებისთვის განსაკუთრებული მადლობა ბატონებს **- აკაკი შონიას, ედიშერ ჯანჯულიას, ზურაბ ქეცბაიას, ვახტანგ** და **გოჩა ჯგუბურიებს** და ქალბატონებს **ინგა შამათავას და ლელა ჯგუბურიას**

წიგნი პირველი ნაწილი გამოცემულია სამშენებლო კომპანია **„ივერთმშენის“** ფინანსური თანადგომით

წიგნის სრული ფორმატით გამოცემაში გაწეული ფინანსური დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ბატონ **ლევან ნოდარის ძე ქეცბაიას**

გამომცემლობა - სტამბა **შპს ფორმა**

თბილისი, 2021 წ.

ISBN 978-9941-8-3206-2

ოქუმის სკოლა - აფხაზეთის გარუსების წინააღმდეგ ბრძოლის ფორფოსტი

(აფხაზეთში პირველი სკოლის დაარსების 170-ე წლისთავისადმი)

მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, ოქუმში, "ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" მატერიალური დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა იმდროინდელ აფხაზეთში პირველ საერო სასწავლო დაწესებულებას.

1849 წლის 26 იანვარს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე დასვა საკითხი სამურზაყანოში სამისიონერო სკოლის დაარსების შესახებ. ,,ეს პირველდაწყებითი სკოლა, - წერდა გუბერნატორი, - მოემსახურება თავადაზნაურების შვილებს და მოზარდების სულს ჩამოაყალიბებს ქრისტიანულად. აღსაზრდელები ისწავლიან საღვთო სჯულს, რუსულ და ქართულ ენებს, არითმეტიკის ოთხ მოქმედებას და სუფთა წერას რუსულად და ქართულად. სკოლის მართვა დაევალება რუსულის მასწავლებელს, ქართული - ენის მცოდნეს. უნარის მქონე მოსწავლე სწავლის გასაგრძელებლად გადაყვანილ იქნება ქუთაისის ან თბილისის სასწავლებლებში სახაზინო ანგარიშზე. სკოლას უხელმძღვანელებს რუსულის მასწავლებელი, რომელსაც ეცოდინება ქართული. საღვთო სჯულს შეასწავლის ოქუმის ბლაღოჩინი (სამურზაყანოს ეკლესიების მღვდელმთავარი), სხვა საგნებს - დიაკვანი და კიდევ ერთი მედავითნე...''

მეფისნაცვალ ვორონცოვისგან მიღებული თანხმობის შემდეგ, 1850 წელს საქართველოს **ეგზარქოსმა ისიდორემ** სამურზაყანოში მისიონერად მოავლინა ,,კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების'' წარმომადგენელი, სამეგრელოს სასწავლებლების ზედამხედველი, თბილისის სასულიერო სემინარია დამთავრებული, უაღრესად განათლებული პიროვნება დავით მაჭავარიანი, რომელმაც 1851 წელს დაბა ოქუმში გახსნა სკოლა თავადაზნაურთა შვილებისთვის, 40 ბავშვისთვის. მალე იქ გლეხების ნიჭიერმა შვილებმაც დაიწყეს სწავლა.

მართალია, ოქუმის სკოლის გახსნა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას უკავშირდებოდა, მაგრამ ამ სკოლამ შემდგომ წლებში სხვა სოფლებში გახსნილ სასწავლებლებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო სამურზაყანოში, არამედ მთელს აფხაზეთში განათლების განვითარების საქმეში.

1851 წელს ოქუმის ეკლესიის მღვდელმა, დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა გახსნა დაწყებითი სამრევლო სკოლა, რომელიც შემდგომ ორკლასიან, რვაგანყოფილებიან სკოლად გადაკეთდა. ფაქტობრივად, იგი იყო დღევანდელი სტანდარტების შესატყვისი არასრული საშუალო სკოლა. მე-19 საუკუნის ბოლოს სკოლის ზედამხედველი (მეურვე-ინსპექტორი) იყო მოგვიანებით ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, იმ დროს სოხუმის ეკლესიის მღვდელი ამბროსი (ბესარიონ ხელაია)- საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრი, შემდგომში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღმდგენი და მისი კათოლიკოს-პატრიარქი.

ქუთაისის გუბერნატორის მოთხოვნისამებრ, ოქუმის სკოლაში ისწავლებოდა საღვთო სჯული, არითმეტიკის ოთხი ძირითადი მოქმედება, სუფთა წერა, ქართული და რუსული ენები. რადგან მოსახლეობისთვის რუსული სრულიად გაუგებარი იყო, რუსი ჩინოვნიკები დროებით დათმობაზე წავიდნენ, ქართული ენა გამოიყენეს და რუსულად სწავლება ქართულის მეშვეობით დაიწყეს. მშობლიური ქართული ენა მეფის რუსეთს მხოლოდ დამხმარე ენად, რუსულის ასათვისებლად და თავისი ზრახვების განსახორციელებლად სჭირდებოდა.

სხვადასხვა დროს სკოლას ხელმძღვანელობდნენ ლიბერალი რუსი პედაგოგები ცარევსკი და მიასნიკოვი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თავადი ყარამან ემუხვარი, ხოლო გასული საუკუნის ბოლოს სკოლის დირექტორი გახდა ცნობილი განმანათლებელი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, საქართველოში "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის წევრი, ოქუმელი ივანე გეგია.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, სწორედ ივანე გეგიამ დააარსა ოქუმში ბიბლიოთეკა, სადაც ქართველი მწერლების _ შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ბესიკის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებებთან ერთად, პუშკინის, ლერმონტოვის, დოსტოევსკის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის, აგრეთვე სხვა რუსი და უცხოელი კლასიკოსების თხზულებანი ინახებოდა. ბიბლიოთეკასთანავე არსებობდა სამურზაყანოს მაზრის არქივიც, რომელიც უდიდეს დოკუმენტურ მასალას შეიცავდა ამ კუთხის, ბაგრატ III დროინდელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მედროშის, უძველესი ქართული საერისთავოს _ საბედიანოს (ბედიის საერისთავოს) ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმიკის, არქეოლოგიის, კულტურის, განათლების და სხვა საკითხებზე (თ.სახოკია, „მოგზაურობანი"). აქვე დაფუძნდა აფხაზეთში პირველი სახალხო თეატრიც, რომელშიც წარმატებით იდგმებოდა, არა მარტო ქართული, არამედ უცხოური კლასიკური ნაწარმოებებიც. მან გააცნო პირველად ადგილობრივ მოსახლეობას შექსპირის „ჰამლეტი".

„განათლება, კულტურა, მეცნიერება - ხალხს"! - ასეთი იყო ივანე გეგიას და იმდროინდელი სამურზაყანოს სასწავლო-კულტურული დაწესებულებების საქმიანობის დევიზი.

იმავე პერიოდში ოქუმის და ილორის ეკლესიების მღვდელმსახურნი, იმავდროულად ოქუმის სკოლის პედაგოგები - მაჭავარიანი, კერესელიძე, ჩხენკელი (აკაკი ჩხენკელის მამა), ზოსიმე ხელაია (ამბროსი ხელაიას მამა) და მათი თანამზრახველი საერო მოღვაწეები - მ. ემუხვარი, ივ. გეგია, თ. სახოკია, ან.ჯუღელი (საქართველოს სახალხო გვარდიის სარდლის - ვალიკო ჯუღელის მამა), სოხუმის ოლქის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი - საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრი პოლკოვნიკი პეტრე ქორქაშვილი ღიად თუ ფარულად ხელს უწყობდნენ სკოლაში მშობლიური ენის სწავლებას და ეკლესიებში წირვა-ლოცვის და პარაკლისების ქართულ ენაზე აღსრულებას.

„აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომაც წირვაც ქართულად უნდა იყოს"

-განუცხადა მამა ამბროსიმ (ხელაია) რუსული ეკლესიის მესვეურებს - სოხუმის ეპისკოპოს არსენს (იზოტოვს) 1995 წელს სააღდგომო წირვის ჩატარებისას (პროფ.ჯ.გამახარია, „წმინდა აღმსარებელი ამბროსი(ხელაია), თბილისი,2012წ.)

„1895 წელს სამურზაყანოელებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს სოხუმის რუსული ეკლესიის ეპისკოპოსს ოქუმის სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ და აიძულეს ოქუმის ეკლესიის მღვდელი კავკასიძე, რომელიც მარჯვე დამცველი იყო და გამტარებელი ცხოვრებაში რუსული მოქალაქეობრიობისა, რათა გაეძევებინათ ის სამურზაყანოდან“ (ზაქარია ედილაშვილი, “საქართველო”, თბილისი, 1917 წ.).

იმდროინდელი აფხაზეთისა და სამურზაყანოს რუსიფიკაციის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის, სამღვდელოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ბრძოლის შესახებ, სოხუმის ეპისკოპოსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა შეფს ატყობინებდა, რომ **„ეპარქიაში მცხოვრები ქართველები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობის, რაშიც სრულ დახმარებას უწევს მათ სამღვდელოება, რომელიც განსაკუთრებით ქართველთაგან (მეგრელთაგან) შედგება. საერთოდ, ქართველების მოძრაობა დიდად აბრკოლებს აფხაზეთის გარუსების და გადაგვარების საქმეს“** და იქვე დასძენდა: **„ამ წერილის წინედ წარმოდგენილი იყო რამდენიმე განჩინება სამურზაყანოელებისა, ვითომ ქართული ენის სწავლების შემდეგი საჭიროების შესახებ, მაგრამ ყველა ესენი განზრახ შედგენილი იყო“.**

1925 წელს ოქუმში გაიხსნა შრომის შვიდწლიანი სკოლა, რომლის დირექტორები იყვნენ სხვადასხვა დროს: მიხა აფაქია, ერასტო ზუხბაია. მასწავლებლობდნენ: ორესტი ნაყოფია, ბორის კვეკვესკირი, ანდრო ალფენიძე, ეკატერინე ჯგვიშია.

1930 წელს სკოლა რვაწლიან სასწავლებლად გადაკეთდა, რომელსაც 1930-31 წწ. ხელმძღვანელობდა თამარ ფარფალია-ჯგუბურია, 1931-1932 წლებში-ივლიანე ფარფალია. 1936 წელს სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა.

სამამულო ომის პერიოდში ოქუმის საშუალო სკოლის ოცი მასწავლებელი გაიწვიეს მოქმედ არმიაში, მათგან მხოლოდ ხუთი დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას.

1953-1963 წლებში ოქუმის სკოლის დირექტორი კვლავ იყო თამარ ფარფალია-ჯგუბურია, 1964 -1987 წლებში - იასონ შონია, 1988-1993 წლებში - ბორის გურგულია. 1994-1995 წლებში -აფხაზეთის ომის შემდეგ, სკოლის აღდგენას სათავეში ჩაუდგა გულნარა ბულისკერია, 1996 -2005 წლებში - ნუნუ გოგოხია. 2006 წლიდან სკოლის დირექტორად დაინიშნა მადლენა გურგულია. ამჟამად სკოლას ხელმძღვანელობს აფხაზი დემონა ჯინჯოლია.

ოქუმის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საპატიო სიაში მოიხსენიებიან ქართველი ერის სახელოვანი შვილები: აკაკი ჩხენკელი (ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), კიტა(პეტრე) ჩხენკელი (ქართველოლოგი, პუბლიცისტი, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი), მელიტონ ემუხვარი (მეფის არმიის გენერალი, სამურზაყანოს ცხენოსანთა პოლკის - „აფხაზური მილიციის“ მეთაური, რუსეთ-თურქეთის ომების გმირი), არზაყან ემუხვარი (აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში), ივანე გეგია (საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, 1917 წლის საქართველოს I ეროვნული ყრილობის დელეგატი), გიორგი ჯგუბურია (საზოგადო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი), ილია ვეკუა (მეცნიერი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი, ქართული და საბჭოთა მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი).

საბჭოთა ეპოქაში ოქუმის საშუალო სკოლის 21 კურსდამთავრებული ატარებდა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდებებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ოქუმის საშუალო სკოლაში საქართველოსა და აფხაზეთის 11 დამსახურებული მასწავლებელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თანამედროვე ოქუმის სკოლა 2019-2020 წლებში საფუძვლიანად გარემონტდა და რეკონსტრუქცია განიცადა საერთაშორისო ორგანიზაცია „დანიის ლტოლვილთა საბჭოს“ დაფინანსებით (პროექტის დირექტორი ნინო ხოხობაია).

დღეისთვის ოქუმის საშუალო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა არამარტო დე-ფაქტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოშიც კი.

ოქუმის საშუალო სკოლის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის საქმეში გაწეული საქმიანობისთვის მადლობა ეკუთვნით:

- „დანიის ლტოლვილთა საბჭოს“ (ნინო ხოხობაია);
- სოფ. ოქუმის ადგილობრივ ადმინისტრაციას;
- სოფ. ოქუმის საშუალო სკოლის დირექციას;
- სოფ. ოქუმის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს;
- სოფ. ოქუმის საზოგადოებას;
- სოფ. ოქუმის საშუალო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას;
- სოფ. ოქუმის საშუალო სკოლის ყველა დროის ყველა კურსდამთავრებულს, რომელთათვისაც ოქუმის საშუალო სკოლა „განათლების ტაძრად“ აღიქმება.

დეკანოზი დავით მაჭავარიანი



ოქუმის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა

ოქუმის სკოლის ხის ნაგებობა



ოქუმის სკოლის შენობა 1910 წელს

ოქუმის სკოლა რეკონსტრუქციამდე (90-იანი წლები)

ოქუმის სკოლის ამჟამინდელი მდგომარეობა


ადამიანი
ხელოვნაა

ოქუმის სამრევლო სკოლის მასწავლებლები და მეურვეები - სასულიერო მოღვაწეები:

- **ზოსიმე ხელაია** (ამბროსის მამა) - ილორის მღვდელია 1860-1895 წლებში, შემდეგ მეოცე საუკუნის ბოლომდე - ილორის მღვდელია პორფირ ზოსიმეს ძე ხელაია; ზოსიმე ხელაია ოქუმის სამრევლო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას.
- **ამბროსი ხელაია** - 1887-1892 წლებში არის დახოვსკოეს (სოჭის) მღვდელი;

1892-1897 წლებში სოხუმის საკათედრო ტაძარშია მღვდლად, 1893 წლიდან ამ ტაძრის კანდელაკია. იმავდროულად 1892-1893 წლებში სოხუმის ეპარქიის პირველი საბლაღოჩინო ოლქის (გუდაუთის მაზრის) ბლაღოჩინია (კეთილმოწესეა). 1894-1897 წლებში სოხუმის მთიელთა სკოლის სჯულისკანონის მასწავლებელია; იმავე წლებში ხდება საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრი და მდივანია (საქმისმწარმოებელი); იმავე 1894 წლიდან 1897 წლამდე კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის სკოლების ზედამხედველია; სოხუმის ეპისკოპოს არსენთან (იზოტოვი) დაჯახება მოხდა 1895 წლის სააღდგომო წირვაზე, როდესაც ეპისკოპოსმა არ დაუშვა ქართულ ენაზე ბიბლიიდან ცალკეული მონაკვეთების წაკითხვა, მაშინ როდესაც წაიკითხეს ბერძნულ და ლათინურ ენებზეც კი. ამბროსიმ მოითხოვა ქართულადაც წაკითხვა, რადგანაც „აქ საქართველოა“...

1897 წლიდან ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაშია, 1901 წლიდან თბილისშია, 1902-1903 წლებში ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია, 1903-1905 წლებში უსტმედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, 1905-1908 წლებში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრია, 1909 წელს რიაზანშია გადასახლებული; 1910-1917 წლებში ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას მონასტრის წინამძღვარია; 1917 წლის აგვისტოში საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში, იმავე წლიდან 1921 წლამდე ჯერ ქყონდიდის, 1919 წლის ოქტომბრიდან ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტია, 1921 წლის სექტემბრიდან - კათოლიკოს-პატრიარქი. ის იყო ერთადერთი ოფიციალური პირი საქართველოში, რომელიც ღიად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას, მის ანტიქართულ პოლიტიკას და კომუნისტურ იდეოლოგიას. საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ მან მემორანდუმით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე (1922 წლის 10 აპრილი-19 მაისი) წარმოდგენილ „კულტურულ კაცობრიობას“ და ითხოვა დახმარება საქართველოს დეოკუპაციის საქმეში.

ამის გამო კათოლიკოს-პატრიარქი საბჭოთა ხელისუფლებამ გაასამართლა და შვიდი წლით და ცხრა თვით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლო პროცესის პარალელურად ქვეყანაში გაჩაღდა აღვირახსნილი ანტირელიგიური კამპანია. 1925 წლის მარტში ჯანმრთელობაშერყეული მწყესმთავარი ვადაზე ადრე განთავისუფლდა პატიმრობისაგან. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, უდიდესი ავტორიტეტის წყალობით, მოახერხა ეკლსიის ერთიანობის შენარჩუნება, მისი გადარჩენა სრული

განადგურებისაგან. 1927 წლის 29 მარტს ის გარდაიცვალა. 1995 წლი 17 სექტემბერს ქართული ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წმინდანთა დასში შეირაცხა წმინდა აღმსარებლის სახელით, ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი.

- **პეტრე ქორქაშვილი** - ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, როდესაც ამბროსი გახდა საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრი (1894წ.), ის თანამდებობრივად უკვე იყო ამ საბჭოს წევრი; 1897 წელს, როცა ამბროსიმ დატოვა სოხუმი და ყველა თანამდებობა, პეტრე ქორქაშვილი რჩებოდა საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრად.
- **დავით მაჭავარიანი** - 1884 წლიდან 1905 წლის იანვრამდე იყო სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი და თანამდებობრივად - საეპარქიო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე.

ავტორი: პროფესორი ჯემალ გამახარია, „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბილისი, 2012წ.“



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის აქტზე (საქართველოს I რესპუბლიკის დაფუძნების) სამი დიდი ოქუმელი: აკაკი ჩხენკელი, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი და ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი აწერდნენ ხელს.

აკაკი ჩხენკელი

დაბადების თარიღი - 19 მაისი 1874

დაბადების ადგილი - ოქუმი

გარდაცვალების თარიღი - 5 იანვარი 1959 (84 წლის)

გარდაცვალების ადგილი - პარიზი

მოქალაქეობა - საქართველო

განათლება - ლაიფციგის უნივერსიტეტი

განათლება

დაიბადა სოხუმის ოლქის სოფელ ოქუმში, მღვდლის მრავალშვილიან ოჯახში.

დაწყებითი განათლება მიიღო ოქუმის საერო სკოლაში. 1891 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ჩაება სემინარისტების არალეგალურ წრეებში და ეცნობოდა სოციალ-დემოკრატიულ იდეებს. 1893 წელს გარიცხეს სასწავლებლიდან გაფიცვაში მონაწილეობის გამო. 1894-1895 წლებში აგრძელებდა სოციალ-დემოკრატიის შესწავლას და ემზადებოდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. 1896-1901 წლებში სწავლობდა კიევის, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო წევრი სტუდენტური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. პარალელურად თანამშრომლობდა ქართულ რესასთან, იყენებდა ფსევდონიმებს „პ. ოქუმელი“, „ა. ოქუმელი“, „ანჩინი“, „ანჩიკი“, „წინწყალი“ და სხვა. სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო სწავლა ვეღარ გააგრძელა და სამშობლოში დაბრუნდა.

1902-1904 წლებში მუშაობდა ადვოკატად სოხუმის ოლქში. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წერდა სტატიებს ქართულ და რუსულ პრესაში. ეწინააღმდეგებოდა რუსეთის შოვინისტურ ანტიქართულ პოლიტიკას, რის გამოც კავკასიიდან გაასახლეს. 1905-1910 წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. სამი წლის განმავლობაში ბერლინში სწავლობდა მუშათა მოძრაობის თეორიას და პრაქტიკას, ვენაში – ეროვნულ საკითხს, პარიზში – პოლიტიკურ მოძრაობას, ლონდონში – ინგლისისა და რუსეთის მეტოქეობის საკითხებს აზიაში. ამ პერიოდში განუწყვეტლივ თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან, ესწრებოდა სოციალისტურ კონგრესებსა და კონფერენციებს. 1907 წელს დაასრულა ლაიფციგის უნივერსიტეტი და სწავლა განაგრძო ჟენევაში.

მოღვაწეობა სახელმწიფო დუმაში

1909 წელს ჩავიდა თბილისში, ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებს. 1910 წელს დააპატიმრა ჟანდარმერიამ და ჩასვეს ჯერ მეტეხის ციხეში, შემდეგ კი გადაასახლეს დონის როსტოვში. გადასახლებიდან გაიქცა და დაბრუნდა საქართველოში. ცხოვრობდა ბათუმში. 1912 წელს აირჩიეს მეოთხე მოწვევის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმის დეპუტატად ბათუმის და ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან. შედიოდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. მისი საქმიანობის მთავარი მიიმართულება იყო საგარეო პოლიტიკის საკითხები, ხელმძღვანელობდა შეკითხვათა კომისიას.

1912 წელს სათათბიროს ტრიბუნიდან გააპროტესტა ქართველების უფლებების შელახვა და მოითხოვა ეროვნულ-კულტურული ავტონომია. გამოვიდა ტირიფონის ვაკეზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ. 1914 წელს ფრაქციის სახელით მხარი არ დაუჭირა სამხედრო ბიუჯეტს, რასაც მეფის ხელისუფლების მკაცრი რეაქცია მოჰყვა. 1914 წელს მონაწილეობდა ბრიუსელის თათბირში, რომელიც მოიწვია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულმა ბიურომ. 1916

წლის ივნისში სათათბიროს ტრიბუნიდან იცავდა ე.წ. მოღალატე აჭარლების უფლებებს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ რუსეთის იმპერია აპირებდა ფრონტისპირა ზოლში მცხოვრები აჭარლების მასობრივ აყრასა და გადასახლებას. ჩხენკელმა მოახერხა პროცესის შეჩერება, ბევრი ადამიანი გადაარჩინა გადასახლებას, დააარსა „აჭარლების დამხმარე კომიტეტი“, აგროვებდა შემოწირულობებს გადასახლებით დაზარალებულთათავის, რის გამოც აჭარაში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

მოღვაწეობა პირველ რესპუბლიკაში

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებით მთავრობის მიერ დაინიშნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრად. აპრილიდან ნოემბრამდე იყო ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წლის ნოემბრიდან იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი. მანვე გახსნა საბჭოს პირველი ყრილობა. იყო ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი და 1918 წლის 8 თებერვალს თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას. 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. ამავდროულად იყო ამიერკავკასიის კომისარიატის შემადგენლობაში, ჯერ იკავებდა შინაგან საქმეთა კომისრის, ხოლო შემდეგ საგარეო საქმეთა კომისრის თანამდებობას. 1918 წლის 22 აპრილიდან 26 მაისამდე იყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი. აპრილში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის დელეგაციას ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე.

1918 წლის 26 მაისს, საქართვლოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ დაინიშნა რესპუბლიკის საგრეო საქმეთა მინისტრად. ივნისში ხელმძღვანელობდა გერმანიისიმპერიაში მივლენილ ქართულ დელეგაციას. 1919 წლის მარტში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. იმავე წელს დაინიშნა ევროპაში რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენლად. ბევრი იმუშავა საქართველოს იურიდიული აღიარებისთვის, ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანებისთვის. 1920 წლის აპრილში გრიგოლ გიორგაძესთან ერთად მოიარა მესხეთი და აჭარა, სადაც ადგილობრივების პრობლემებს გაეცნო.

ემიგრაციაში

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მოღვწეობდა საფრანგეთში, სადაც იკავებდა საფრაგეთში საქართველოს ელჩის თანამდებობას. 1922 წლის აპრილში ხელმძღ-ვანელობდა ქართულ დელეგაციას გენუის კონფერენციაზე და ცდილობდა, დაეყენებინა საქართველოს საკითხი. მოღვწეობდა საქართველოს ოკუპაციის საკითხის გაშუქებისთვის, ბოლშევიკური პროპაგანდის გასანეიტრლებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრეების მოსაპოვებლად. მისი დიპლომატიური მოღვაწეობდა გაგრძელდა 13 წლის განმავლობაში, 1934 წლამდე,

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის აღიარებამდე. 1934 წელს ქართული საელჩოს გაუქმების შემდეგ დიპლომატიური სტატუსის გარეშე აგრძელებდა მუშაობას, თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში, გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ანტიკომუნისტური გაერთიანების შექმნის პროცესში.

გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1959 წლის 3 იანვარს, პარიზში, ბუსიკოს საავადმყოფოში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი

დიმიტრი(არზაყან) ემუხვარი 1880 წლის 26 ოქტომბერს დაიბადა სამურზაყანოს მაზრის სოფ. ჩხორთოლში.

გარდაიცვალა 1939 წელს საფრანგეთში, პარიზში.

არზაყანნმა დაწყებითი განათლება ოქუმის პირველდაწყებით სკოლაში მიიღო, შემდეგ - ახალი სენაკის სასულიერო სკოლაში. 1895 წლიდან ის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მე-4 კლასში გადავიდა, 1896 წლიდან კი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. სემინარიაში სწავლისას რედაქტორობდა სემინარიელების ახალგაზრდულ ჟურნალს "რიჟრაჟი". ამავე პერიოდში დაუახლოვდა ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას და მესამე დასელებს მიემხრო. ეს დიდი გაბედულება იყო იმ აფხაზისგან, რომელიც ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიანტი იყო.

სემინარიის დამთავრების შემდეგ, არზაყან ემუხვარი აფხაზეთში დაბრუნდა და ხალხში რევოლუციური მუშაობა დაიწყო. 1902 წლიდან გახდა რსდმპ წევრი. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში და რევოლუციის შედეგად შექმნილი „სოხუმის რესპუბლიკის" ხელმძღვანელი გახდა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ის დააპატიმრეს და 1909 წლის თბილისის სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით ერთი წელი მიუსაჯეს. სოხუმის ციხეში პატიმრობამ მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა მოსახლეობაში. სასჯელის მოხდის შემდეგ, არზაყან ემუხვარი კვლავ აქტიურ რევოლუციურ მუშაობას დაუბრუნდა. 1917 წელს სოხუმის ოლქში კავკასიის საგანგებო კომიტეტის ერთ–ერთ რწმუნებულად დაინიშნა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ არსებითი ცვლილებები შეიტანა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1918 წელს რუსეთში დაწყებული სამოქალაქო ომი სულ მალე ჩრდილოეთ კავკასიასაც მისწვდა და აფხაზეთს რუსეთიდან შემოჭრილი ბოლშევიკები დაეუფლნენ. აფხაზი მოსახლეობის ფართო ფენებში კი არზაყან ემუხვარის მცდელობით სულ უფრო მძლავრდებოდა დემოკრატიული მოძრაობა ლოზუნგით – „გავერთიანდეთ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან, არამედ საქართველოსთან".

1919 წლის 12 მარტს აირჩიეს აფხაზეთის ეროვნული საბჭო, რომელმაც 20 მარტს დაადგინა აფხაზეთი ავტონომიის სტატუსით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში. არზაყან ემუხვარმა ყველა ღონე იხმარა ამ დადგენილების მისაღებად. ამავე წლის მაისში ის აირჩიეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ, ასევე იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

1921 წლის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, არზაყანმა მეუღლე და შვილები ქუთაისში სიმამრთან გახიზნა. თვითონ კი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. 1921-1922 წწ–ში სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ პრაღაში(1927-1938) გადავიდა.1927-1933 წლებში არზაყან ემუხვარი ხელმძღვანელობდა ქართულ კოლონიას პრაღაში.

1939 წლის მარტის დამდეგს, მეგობრების თხოვნით, რათა უფრო ახლოს გასცნობოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობას და მასში უშუალო მონაწილეობა მიეღო არზაყან ემუხვარი პარიზს გაემგზავრა. მას დიდი სიხარულით შეხვდნენ მეგობრები: აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე კანდელაკი, გრიგოლ ურატაძე და სხვები. პარიზში არზაყან ემუხვარი ყველასთვის მოულოდნელად 1939 წლის 24 მარტს სისხლის მოწამვლით კლოდ ბერნარის

საავადმყოფოში გარდაიცვალა. არსებობს ეჭვი, რომ ის ბოლშევიკების აგენტებმა მოწამლეს.

კონსტანტინე გამსახურდიამ არზაყან ემუხვარის ვაჟს, ვლადიმერ ემუხვარს წერილი მისწერა:

“ჩემო პატარა ემუხვარო!

ჩემს ნაწარმოებში “მთვარის მოტაცებაში” შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის მეგობარი კეთილი აფხაზი არძაყან იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი.

ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა. გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა. მომიტევეთ...”

კონსანტინე გამსახურდიას “მთვარის მოტაცების” ერთ–ერთი გმირის თარაშ ემხვარის პროტოტიპი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე განისვენებს.

ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი

დაბადების თარიღი - 1887

გარდაცვალების თარიღი - 30 აგვისტო, 1924 (37 წლის)

ვალერიან (ვალიკო) ანთიმოზის ძე ჯუღელი (დ. 1887, სვირი — გ. 30 აგვისტო, 1924, თბილისი) — ქართველი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი, „დამკომის“ წევრი. უშუალო მონაწილე 1918-1921 წლებში მომხდარ თითქმის ყველა ბრძოლისა. გამოირჩეოდა საოცარი პირადი ვაჟკაცობით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩახშობილ იქნა 1920 წლის ანტისახელმწიფოებრვი აჯანყება ცხინვალის რეგიონში. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია, საქართველოში დაბრუნდა 1924 წლის აჯანყების მოსამზადებლად, მაგრამ „ჩეკამ“ დააპატიმრა და იმავე წლის აგვისტოში დახვრიტეს. გამოცემული აქვს საკუთარი მოგონებები — დღიური („მძიმე ჯვარი“, ტფილისი, 1920 წელი).

დაწყებითი განათლება მიიღო ოქუმის სკოლაში, შემდგომ სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ამ პერიოდში ჩაება სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში და მონაწილეობას იღებდა 1904-1905 წლების საპროტესტო დემონსტრაციებში. 1912 წელს დაასრულა სოხუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ ფრაქციაში. 1916 წლის ზაფხულში, ვალერიან ჯუღელი დააპატიმრეს თბილისში და ჩასვეს მეტეხის ციხეში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიემხრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1918 წლიდან კი — ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს პარლამენტის წევრი. 1917 წლის დეკემბრიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს წითელი გვარდიის (1918 წლის ივნისიდან - სახალხო გვარდიის) ჩამოყალიბების საქმეს. 1917 წლის 12 დეკემბერს (ახალი სტილით) მისი მეთაურობით გვარდიელებმა დაიკავეს თბილისის არსენალი და განაიარაღეს იქ მდგომი რუსული გაბოლშევიკებული სამხედრო ნაწილები. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, იგი არჩეულ იქნა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად. მთავარი შტაბის ნომინალური მეთაური იყო ნოე ჟორდანია, თუმცა, პრაქტიკულად, სახალხო გვარდიას ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა. იგი პირადად უჩვენებდა თანამებრძოლებს ბრძოლის მაგალითს სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას. იბრძოდა პირველი რესპუბლიკის პერიოდში წარმოებულ ყველა სამხედრო კონფლიქტში. მის შესახებ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ატაშე პ. სიტინი საიდუმლო მოხსენებაში წერდა:

„დიდი მონაცემების მქონე პიროვნება, ძალიან მიზანდასახული. აქვს დიდი პირადი სიმამაცე, გამბედაობა და გამხნევების უნარი. ღირსებისმოყვარეა, ურჩევნია სოფელში იყოს პირველი, ვიდრე ქალაქში — მეორე. სამხედრო საქმეს იცნობს პრაქტიკულად საკუთარი სიმამაცის წყალობით, ბრწყინვალე ბელადია.“

1919 წელს, ვალერიან ჯუღელი აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით; გახლდათ სამხედრო კომისიის წევრი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის მიმდინარეობისას, ოსიაურის ბრძოლაში (4-6 მარტი) მსუბუქად დაიჭრა.

1921 წლის მარტში ვალიკო ჯუღელმა მთავრობასა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან ერთად დატოვა საქართველო და ემიგრაციაში გაემგზავრა. ჩაება ანტისაბჭოთა ბრძოლის პროცესში. 1922 წელს, სხვა სამხედროებთან ერთად შეიმუშავა და რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად გაუგზავნა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გეგმა. 1923-1924 წლებში სპეციალური წვრთნა გაიარა საფრანგეთის რესპუბლიკის 35-ე ქვეითთა პოლკში. 1924 წელს თანამებრძოლებთან ერთად არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში. თავდაპირველად ცხოვრობდა გურიაში, შემდეგ გადავიდა თბილისში, სადაც შევიდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო კომისიაში და სათავეში ჩაუდგა აჯანყების სამზადისს. 1924 წლის 6 აგვისტოს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ („ჩეკა“) დააპატიმრა. 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების დაწყების შემდეგ, 30 აგვისტოს ვ. ჯუღელი თბილისში დახვრიტეს.

1931 წლის საქართველოს
სსრ საბჭოეთის VI ყრილობის
გადაწყვეტილებით აფხაზეთის
ასსრ შევიდა მის შემადგენლობაში.
აღნიშნული აქტი განმტკიცდა
საქართველოს სსრ 1937 წლის
კონსტიტუციით, რის საფუძველზე
1938 წლის 12 ივნისს საქართველოს
სრულ ტერიტორიაზე ჩატარდა
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს ერთიანი არჩევნები, სადაც
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
I მოწვევის დეპუტატად არჩეული იქნა
ოქუმელი გიორგი ჯგუბურია

გიორგი ჯგუბურია

(1898 -1951)

საქართველოში პირველი კოლმეურნეობის - ოქუმის ვ.ი. ლენინის სახ. კოლმეურნეობის დამფუძნებელი (პირველი მილიონერი კოლმეურნეობა).

სოციალისტური შრომის გმირი (1949წ.), ლენინის ორდენის სამგზის, შრომის წითელი დროშის ორდენის, მრავალი მედლების, მ.შ. „კავკასიის დაცვისთვის“, კავალერი, ლენინური და სახელმწიფო (სტალინური) პრემიების ლაურეატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 3 (სამი) პირველადი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი აფხაზეთის ასსრ-დან. იყო საკავშირო საკოლმეურნეო საბჭოს წევრი (თავმჯდომარე ი.ბ.სტალინი).

დიდი სამამულო ომის პერიოდში იყო კავკასიის ფრონტის (1942-1944წ.წ.) აფხაზეთის გამანადგურებელი ბატალიონის მეთაური. დაჯილდოებული იყო სახელობითი იარაღით.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე აფხაზეთში არსებობდა მისი სახელობის კოლმეურნეობა, ქუჩები გალში და სოხუმში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1991წ. აქტზე (საქართველოს II რესპუბლიკის) ხელის მომწერი იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ოქუმელი ედიშერ ჯანჯულია.

ედიშერ ჯანჯულია

დაიბადა 1960 წლის 29 ივლისს.

1977 წელს დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა.

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის ფაკულტეტი, ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით.

1990 წლის მარტის თვეში დაინიშნა საქართველოს დემოგრაფიულო საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის სადროშოს გალის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

იმავე წელს მაისის თვიდან დაინიშნა ჰელსინკის კავშირი-თავისუფალი საქართველოს გალის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

1990 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში აირჩიეს გალის 110-ე ოლქის მაჟორიტარ დეპუტატად.

1991 წლის 11თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით დაინიშნა გალის რაიონის პრეფექტად.

1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

1998-2003წწ. ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრის სამეთვალურეო საბჭოს წევრია.

2000 წლიდან არის სამშენებლო კომპანია „ივერთმშენის“ გენერალური დირექტორი.

2016 წლიდან ხელმძღვანელობს აწყურის ღვთისშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის პროექტს.

სამშენებლო კომპანია „ივერთმშენის“ (დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ედიშერ ჯანჯულია) მიერ ბოლო 10 წლეულში განხორციელებული პროექტები:

- გელათის მონასტერი, მთავარეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სასახლე;
- უფლისციხის რეაბილიტაციის პროექტი;
- კაწარეთის სამების რეაბილიტაციის პროექტი;
- ფუძნარის ღვთისშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;
- სქურის ფერისცვალების ტაძრის რეაბილიტაცის პროექტი;
- ეკის მაცხოვრის ჯვრის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;
- კვაუთის მთავარანგელოზის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;
- წალენჯიხის ფერისცვალების ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;
- აწყურის ღვთისშობლის სახელობის, საკატედროტაძრის რეაბილიტაცის პროექტი;
- აწყურის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცის პროექტი;
- ბიეთის ღვთისშობლის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;
- ახალციხე, ურავლის მამათა მონასტრის სამრეკლოს აღდგენითი სამუშაოების პროექტი;
- აბასთუმნის დედათა მონასტრის (რომანოვების სასახლის) რეაბილიტაციის პროექტი;
- ჩხოროწყუ,ჭოღას წმინდა გიორგის რეაბილიტაციის პროექტი;
- ჩხოროწყუ, მოიდანახეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი;
- თერჯოლა, ნასაგურის მაცხოვრის ჯვრის სახელობის ტაზარი;
- თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი;
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- ბორჯომის ისტორიული ჰიდროელექტრო სადგურის რეაბილიტაციის პროექტი;
- თბილისის აბრეშუმის მუზეუმი.

საქართველოს სახელმწიფო დროშა



საქართველოს სახელმწიფო გერბი

2004 წელს საქართველოს თანამედროვე დროშის, ღერბის და ჰიმნის მიმღებთა შორის იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი ოქუმელი ზურაბ ჯგუბურია.

ზურაბ ჯგუბურია

ზურაბ ჯგუბურია დაიბადა აფხაზეთში, ოქუმში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი. 1975 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი-ფიზიკოსი,მაგისტრი. 1980-1981 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ქვეყანათმცოდნეობის - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, ფრანგულ სექტორზე.

1988-1991წლებში დაუსწრებლად სწავლობდა ყაზანის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები ფიზიკისა და ტექნიკის საკითხებზე (8 სტატია). საზღვარგარეთ, კონგოს რესპუბლიკაში (ქ.ბრაზავილი), ფრანგულ ენაზე გამოცემული აქვს ზოგადი ფიზიკის დამხმარე სახელმძღვანელო.

1975-1978 წლებში ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას სოხუმის აკად. ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში.

1978-1980 წლებში მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად.

1981-1985 წლებში მუშაობდა საზღვარგარეთ, კონგოს რესპუბლიკაში (ქ.ბრაზავილი), ნაციონალური განათლების სამინისტროს ექსპერტად-ბრაზავილის პატრის ლუმუმბას ლიცეუმის პროფესორად-ფიზიკისა და ქიმიის მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ.

1986-1992 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის, შემდეგ კი საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგედ. ამავდროულად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აფხაზეთისა. მ.გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1992 წლიდან დღემდე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1999 წლიდან 2004 წლის აპრილამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მრჩევლად.

2004-2008 წლებში არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, იყო პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი.

2008-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობაზე.

2000-2010 წლებში გამოქვეყნებული აქვს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი) პერიოდულ ბეჭდურ მედიაში 15-ზე მეტი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის სტატია კონფლიქტოლოგიის (აფხაზეთის) საკითხებზე.

არის წიგნების:

- „აფხაზეთის კონფლიქტი - მითი და რეალობა” (2004წ.),
- „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში” (2007წ.),
- „ოქუმელთა ასეული” (2014წ.),
- „აფხაზეთის/საქართველო ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობა” – მეორე და მესამე გამოცემები (2015 -2017წ.წ.),
- აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა: ფაქტები, შეფასებები“ (2018წ.),
- „ოკუპირებული აფხაზეთი - 25“ (2018 წ.),
- მიშელ მუსხელი (მიხეილ მუსხელიშვილი) - „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ (2019წ.) პროექტის ხელმძღვანელი და ავტორი.


RÉPUBLIQUE POPULAIRE DU CONGO
MINISTÈRE DE L'EDUCATION NATIONALE
LYCÉE EMERY PATRICE LUMUMBA
DÉPARTEMENT DES SCIENCES PHYSIQUES

P. NZILA
LE PROVISEUR DU LYCÉE E. P. LUMUMBA

Z. DJGOUBOURIA
PROFESSEUR DE PHYSIQUE DU LYCÉE E. P. LUMUMBA

LES TRAVAUX PRATIQUES
/PHYSIQUE, CLASSE DE SECONDE/

1983
BRAZZAVILLE

ოქუმის სკოლის მემატიანე

ხსოვნის გვერდი (მე-20 საუკუნის ქრონიკა)

(ოქუმის სკოლის გარდაცვლილი პედაგოგები)

1. აკიშბაია სულიკო
2. ალფენიძე ანდრო
3. აქირთავა თინათინი
4. ახვლედიანი გონერი
5. ბეკვერია იასონი
6. ბულისკერია ბორისი
7. ბულისკერია გენადი
8. ბულისკერია გულნარა
9. ბულისკერია ვარლამი
10. ბულისკერია კოკსანი
11. ბულისკერია კუკური
12. ბულისკერია მამრიკო
13. ბულისკერია ნადია
14. ბულისკერია რობიკო
15. გამისონია ნათელა
16. გასვიანი ნანი
17. გეგენავა თინათინი
18. გეგია ივანე
19. გობეჯიშვილი თამარი
20. გოლანძია რაჟიკო
21. გრიგოლაია ლოლა
22. გურგულია ბორისი
23. დავითაია ლიდია
24. დოჩია ლამარა
25. დოჩია შოთა
26. ეზუგბაია ნათელა
27. ვარდანია რომანი
28. ზარანდია ლეილა
29. ზუხბაია ერასტო
30. ზუხბაია თამარი
31. თოლორაია ფედოსია
32. კაკაურიძე ნაზი
33. კაკუბავა არდაშელ
34. კაკუბავა მერი
35. კაკუბავა ნოშრევანი
36. კეჟერაძე გოგლიკა
37. კვეკვესკირი შოთა
38. კოზმავა ივანე
39. კოზმავა მიმოზა
40. კოზმავა ნათელა
41. კორსანტია ლენა
42. კორსანტია სვეტლანა
43. კორტავა ჟუჟუნა
44. კუპრავა ირა
45. კუპრავა სულიკო
46. კუპრავა შურა
47. ლაცუზბაია გრიგოლი (ციქორი)
48. მარხულია მარო
49. მიქაია ვლადიმერი
50. ნაყოფია დუნია
51. ნაყოფია ორესტი
52. პარკაია დოდო
53. პროხოროვიჩი თინათინი
54. პროხოროვიჩი ძაბუკი

55. რაფავა გიორგი
56. რიგვავა არხიპო
57. რიგვავა ოლია
58. რიგვავა ხუტა
59. რუხაძე შოთა
60. სამსონია ბაბუცა
61. სიმონია ვანო
62. სტრელკოვი გიორგი
63. უბილავა მარო
64. უზარაშვილი ლეილა
65. ფარფალია თამარი
66. ფარფალია თინათინი
67. ფარფალია ივლიანე
68. ფარფალია კლარა
69. ფარფალია სულიკო
70. ფარფალია ტანია
71. ფაცაცია რიმა
72. ქარდავა ვალია
73. ქეცბაია ანგელინა
74. ქეცბაია ინდიკო
75. ქვაჩახია ვლადიმირ
76. ქვაჩახია ივანე
77. ქვაჩახია იურა
78. ქვაჩახია პლატონი
79. ქვაჩახია ძეგე
80. ღამბაშიძე ოთარი
81. ყოლბაია ტერენტი
82. ყოლბაია ხუხუტი
83. შამათავა ბაბუცა
84. შამათავა გიორგი
85. შამათავა დომენტი
86. შამათავა ირონდი
87. შამათავა ნაზი
88. შამათავა ჟენია
89. შამათავა შოთა
90. შელია გედევანი
91. შელია ნემო
92. შელია ტერენტი
93. შონია გიორგი
94. შონია ვახტანგ
95. შონია იასონ
96. ჩემინავა თინათინი
97. ჩერქეზია ლუიზა
98. ჩხაპელია ნუნუ
99. ჩხენკელი ვალოდია
100. ჩხენკელი ნათელა
101. ცაცუა თამარა
102. ცაცუა შალვა
103. ქანტურია ვლადიმერი
104. ქარაია მიშა
105. ქითანავა ნათელა
106. ხასია აზა
107. ხასია დუსია
108. ხორავა ვერა
109. ჯანჯულია კაპიტონი
110. ჯგუბურია ბიქიკო
111. ჯგუბურია გრიგოლი
112. ჯგუბურია ვაჟა
113. ჯგუბურია კოქიკო
114. ჯგუშია ეკატერინე
115. ჯანჯულია კონსტანტინე
116. ჯანჯულია ოლგა
117. შამათავა მარგო

პატივისცემისა და გაფრთხილების გვერდი:

(ოქუმის სკოლის პენსიონერი პედაგოგები)

1. აბსავა ნაზი
2. ახალაია თალიკო
3. ბასარია ვიოლა
4. ბაღიშვილი ივეტა
5. ბაღიშვილი მანანა
6. ბულისკერია მანანა
7. ბულისკერია მარინა
8. გამისონია ირმა
9. გირგულია მადლენა
10. გოგოხია დალი
11. გოგოხია ლალი
12. გოგოხია ნათელა
13. დოჩია მარინე
14. ზარქუა ირინე
15. ზუხბაია მედეა
16. თოდუა ნოდარი
17. თოლორაია აიზა
18. კაკუბავა თინათინი
19. კაკუბავა ციალა
20. კამკია ემა
21. ლაცუზბაია აგნესა
22. ლაცუზბაია ბონდო
23. ლაცუზბაია კლარა
24. მარკოზია ციცინო
25. მარხულია ნატო
26. მელაია ჟანა
27. მირცხულავა მზია
28. მიქაძე მარიამი
29. მიშველია თეა
30. ნიკოლაძე რუსუდანი
31. პერტაია ლალი
32. რიგვავა ნაზი
33. სუბელიანი თინათინი
34. ტაბაღუა მანანა
35. უბილავა ნონა
36. ქავშბაია მზია
37. ქარდავა დარეჯანი
38. ქარდავა ნანი
39. ქვაჩახია ელისო
40. ქვაჩახია ვიანორი
41. ქვაჩახია ლელა
42. ქვაჩახია ლუიზა
43. ქობალია მადონა
44. ქუჩუბერია სვეტლანა
45. შამათავა მალხაზი
46. შამათავა ნაური
47. შამათავა რაბო
48. შარანგია ლუარა
49. შელია ელადა
50. შელია მზევინარი
51. შონია ადა
52. შონია აკაკი
53. შონია მზია
54. შონია რუსუდანი
55. ჩქოტუა მზია
56. ჩხაპელია გია
57. წირღვავა ნატო
58. წირღვავა სოსო

59. ქითანავა გულია
60. ქითანავა იამზე
61. ქითანავა შოთა
62. ხაროვსკაია ზაირა
63. ხუბუა ნონა
64. ჯგუბურია გოჩა
65. ჯგუბურია ზურაბი
66. ჯგუბურია ლელა
67. ჯგუბურია მარინე
68. ჯგუბურია მიმოზა
69. ჯგუბურია ნუნუ

დღეს ამათზე დგას ოქუმის სკოლა:

(ოქუმის სკოლის ამჟამინდელ პედაგოგთა სია)

დირექტორი: გოგოხია-ჯინჯოლია დემონა

1. ახალაია ლუიზა
2. ბაღიშვილი ანგელინა
3. ბაღიშვილი ივეტა
4. ბაღიშვილი მარიამი
5. ბულისკერია მანანა
6. გურგულია მადლენა
7. დარსანია ნათია
8. ელიავა თვალმაისა
9. ზანთარაია ლიკა
10. ზარქუა ირინა
11. ზარქუა მარინე
12. ზუხბაია მანანა
13. კაჭარავა ელიზავეტა
14. კორსანტია მანანა
15. კოსმავა ხათუნა
16. ლაცუზბაია გელა
17. ლაცუზბაია ვილიქსი
18. ლაცუზბაია ტარიელი
19. მარკოზია ანა
20. მარკოზია ციცინო
21. მეშველია თეა
22. მიქაძე მარიამი
23. სირგინავა მედეა
24. სუბელიანი თინათინი
25. ფუტურანძე ხათუნა
26. ქარაია ბესიკი
27. ქვაჩახია ასმათი
28. ქირია ზეინაბი
29. ქუჩუბერია სვეტლანა
30. შამათავა მონიკა
31. შონია ადა
32. შონია მალხაზი
33. ჩერქეზია ანგელინა
34. ქითანავა იამზე
35. ქითანავა შოთა
36. ჯანჯულია ნატო
37. ჯგუბურია ლელა
38. ჯგუბურია მარინე
39. ჯონჯუა ლეილა





ოქუმის ეკლესია (XI, XIX ს.ს.) ივ.გეგიას „ოქუმის ბიბლიოთეკის“ არქივის მასალების მიხედვით ოქუმის ხარების ეკლესია აშენებულ იქნა სრულიად საქართველოს მეფის ბაგრატ III მეფობის ბოლო წლეებში (XI დასაწყისში) „ერისთავთ-ერისთავების ემხების (ემუხვარების)“ მიერ, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში გადამწვარი იქნა ოსმალო დამპყრობლების შემოსევის შედეგად. ეკლესია ახლანდელი სახით აღდგენილ იქნა XIX საუკუნეში, გადამწვარი ეკლესიის საძირკველზე. 2008 წლის დასაწყისში, საქართველოს საპატრიარქოს თანხმობით, ეკლესიას ჩაუტარდა კონსერვაცია: გამაგრდა საძირკველი, მთლიანად გამოიცვალა სახურავი (გადაიხურა ალუმინის ფურცლებით) და ფანჯრები. ფოთი-ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის კურთხევით ქ.ფოთში დამზადდა საეკლესიო არქიტექტურითა და დიზაინით გამორჩეული რკინის კარები და ფარულად გადაიგზავნა ოქუმში. კარები ადგილობრივი მრევლის დიდი ძალისხმევით,მხოლოდ 2012 წელს ჩამოკიდეს ეკლესიას **(ზ.ჯგუბურია, „აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“, თბილისი, 2017 წ.)**



ივანე კონსტანტინეს ძე გეგია

სხვა სახელი: ოდიშელი (ფსევდონიმი)

დაბადების თარიღი:1860

გარდაცვ. თარიღი: 1941 (81 წლის ასაკში)

კატეგორია: პედაგოგი

ივანე გეგია დაიბადა 1860 წელს. 1880 წელს მან დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი.

1886 წლიდან ივანე გეგია იყო "ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ნამდვილი წევრი. 1890 წელს ივანე სოფელ ოქუმის ორკლასიან საერო სკოლაში გადავიდა, რომელიც "ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" მატერიალური დახმარებით დაარსდა და გარკვეული პერიოდი სკოლის დირექტორი ცნობილი განმანათლებელი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის წევრი, ოქუმელი ივანე გეგია იყო. ხუთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, როგორც პოლიტიკურად მიუღებელი, ივანე სკოლიდან გააძევეს, მაგრამ მას უკან არ დაუხევია და სოფელში მოაწყო სამაგალითო მეურნეობა. ივანე გეგია პირველი მეურნეა, რომელმაც ჩაის ბუჩქი შემოიტანა და გაავრცელა სამურზაყანოში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, სწორედ ივანე გეგიამ დაარსა ოქუმში ბიბლიოთეკა, სადაც ქართველი მწერლების - შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ბესიკის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებებთან ერთად პუშკინის, ლერმონტოვის, დოსტოევსკის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის, აგრეთვე სხვა რუსი და უცხოელი კლასიკოსების თხზულებანი ინახებოდა. ბიბლიოთეკასთანავე არსებობდა სამურზაყანოს მაზრის არქივიც, რომელიც უდიდეს დოკუმენტურ მასალას შეიცავდა ამ კუთხის, ბაგრატ III დროინდელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მედროშის, უძველესი ქართული საერისთავოს - საბედიანოს (ბედიის საერისთავოს) ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონომიკის, არქეოლოგიის, კულტურის, განათლების და სხვა საკითხებზე (თ.სახოკია, „მოგზაურობანი"). აქვე დაფუძნდა აფხაზეთში პირველი სახალხო თეატრიც, რომელშიც წარმატებთ იდგმებოდა, არა მარტო ქართული, არამედ უცხოური კლასიკური ნაწარმოებებიც. მან გააცნო პირველად ადგილობრივ მოსახლეობას შექსპირის „ჰამლეტი".

„განათლება, კულტურა, მეცნიერება - ხალხს" ! - ასეთი იყო ივანე გეგიას და იმდროინდელი სამურზაყანოს სასწავლო-კულტურული დაწესებულებების საქმიანობის დევიზი.

ივანე გეგიამ საკუთარი სახსრებით ოქუმში გახსნა წიგნთსაცავი, სადაც ქართველი მწერლების გარდა, რუსი და უცხოელი კლასიკოსების თხზულებანიც ინახებოდა. ბიბლიოთეკასთანვე არსებობდა სამურზაყანოს მაზრის არქივიც, რომელიც უდიდეს დოკუმენტურ მასალას შეიცავდა ამ კუთხის, ბაგრატ III დროინდელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მედროშის, უძველესი ქართული საერისთავოს - საბედიანოს (ბედიის საერისთავოს) ისტორიის, კულტურისა და განათლების საქმეში. აქვე დაფუძნდა აფხაზეთში პირველი სახალხო თეატრიც, რომელშიც წარმატებით იდგმებოდა არა მარტო ქართული, არამედ უცხოური კლასიკური ნაწარმოებებიც.

"განათლება, კულტურა, მეცნიერება ხალხს!" - ასეთი იყო ივანე გეგიას და

იმდროინდელი სამურზაყანოს სასწავლო-კულტურული დაწესებულებების საქმიანობის დევიზი. იგი ღიად თუ ფარულად ხელს უწყობდა სკოლაში მშობლიური ენის სწავლას და ეკლესიებში წირვა-ლოცვისა და პარაკლისების ქართულ ენაზე აღსრულებას. იყო ქართულ წარმოდგენათა გამართვის მომწყობი კომისიის წევრი "ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცლებელი საზოგადოების" სამურზაყანოს განყოფილებაში.

1917 წლის ბოლოსათვის ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დაძაბული იყო. 1917 წლის 19 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სრულიად საქართველოს I ეროვნული ყრილობა, რომელსაც 329 სრულუფლებიანი დელეგატები ესწრებოდა. ყრილობაზე აფხაზეთის სახელით, სიტყვით გამოვიდა სამურზაყანოს წარმომადგენელი ივანე გეგია: „სამეგრელოსა და სამურზაყანოს ჰყოფს მდ.ენგური, მაშასადამე სამურზაყანო საქართველოს გაგრძელებაა. დღეს სამურზაყანო თამაშობს მომრიგებლის როლს და მომავალშიც ხიდად გაიდება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. მოქალაქენო, ჩვენი სურვილია აფხაზეთის საქართველოს შეუერთდეს... დასასრულ, ჩვენი სურვილია აფხაზეთ სამურზაყანო, სოხუმის ოლქი დარჩეს უცვლელად და მიეცეს ეროვნულ-კულტურული ავტონომია თავის საზღვრებში".

ივანე გეგია აქტიურად მოღვაწეობდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. იგი იყო „დროების", „ივერიის'', „ცისკრის", „მოგზაურის", „ჯეჯილის", „ცნობის ფურცელისა" და სხვათა მუდმივი კორესპონდენტი. ივანე გეგია გარდაიცვალა 1941წელს.

ილია ნესტორის ძე ვეკუა - ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი.

სსრკ-ის მეცნიერებათ აკადემიის (1958) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1946) აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი (1969).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1972-1977), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ილია ვეკუამ არასრული საშუალო განათლება მიიღო ოქუმის შვიდწლიან სკოლაში, ხოლო საშუალო სკოლის ქ.ზუგდიდში დამთავრების შემდეგ, 1925 წელს, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1930 წელს მან წარმატებით დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

ასპირანტურის გავლის შემდეგ, 1933 წელს, ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იგი კითხულობდა ლექციებს თანამედროვე მათემატიკის მრავალ დარგში.

1937 წელს ილია ვეკუამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წელს აირჩიეს დოცენტად.

1939 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1940 წელს იგი უკვე პროფესორია. 1940-1944 წლებში ილია ვეკუა უნივერსიტეტის

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო.

1944 წელს ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ -კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს აკადემიკოსად აირჩიეს.

1944-1947 წლებში ილია ვეკუა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, 1947-1951 წლებში - თსუ უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე.

1951 წელს ვეკუა მოსკოვში გადავიდა და იქ განაგრძო მეცნიერული მოღვაწეობა.

1952 წელს იგი ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრის პროფესორად აირჩიეს, სადაც 1959 წლამდე იმუშავა.

1958 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1959 წელს ახალდაარსებული ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველ რექტორად დაინიშნა. 1964 წელს ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა. მას პატივი ხვდა ორჯერ ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორი.

ილია ვეკუას სახელს ატარებს ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლა.

1969 წელს, როგორც გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ილია ვეკუას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

იასონ შონია იყო ოქუმის სკოლის დირექტორი 1936-1989 წლებში.

იასონ გრიგოლის ძე შონია - დაიბადა 1910 წლის 23 ნოემბერს ოქუმში.

1920 წელს შევიდა შვიდწლიან სკოლაში,რომელიც დაამთავრა 1927 წელს.

1928-1929 წლებში სწავლობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

1930 წელს მუშაობა დაიწყო ახლად ჩამოყალიბებულ ოქუმის კოლმეურნეობაში.

1934 წელს პარალელურად მუშაობა დაიწყო ოქუმის შვიდწლიან სკოლაში.

1936 წელს ის დაინიშნა ოქუმის ახლად გახსნილ საშუალო სკოლის დირექტორად.

1941-1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ომი დაამთავრა ქ.ბუდაპეშტში უფროსი ლეიტენანტის წოდებით.

1945-1953 წლებში მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლაში.

1945-1949 წლებში სწავლობდა ქ.ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1953-1966 წლებში მუშაობდა ჩხორთოლის საშუალო სკოლის დირექტორად.

1966-**1989 წლებში იყო ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი.**

იასონ შონია იყო აფხაზეთის ასსრ-ს დამსახურებული პედაგოგი.

იასონ გრიგოლის ძე შონია გარდაიცვალა 1991 წელს, დაკრძალულია ოქუმში.



აფხაზეთის სახალხო არტისტი, ლოტბარი

კონსტანტინე (კოქიკო) ჯგუბურია (1924 - 1992 წწ)

- ოქუმის საშუალო სკოლის ეროვნული ფოლკლორის მასწავლებელი.



გრიგოლი ჯგუბურია (1928-1997)

ოქუმის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი (1948-1992 წ.წ.).

მუშაობდა აგრეთვე ს. წარჩის და ს. ჩხორთოლის საშუალო სკოლების დირექტორად. მუშაობდა ოქუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიის დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს მიღებული ქონდა სსრკ-ს უმაღლესი მთავარსარდლის (ი.ბ.სტალინის) პირადი მადლობა.

გრიგოლ ჯგუბურიას მინიჭებული ჰქონდა მასწავლებელ-მეთოდისტის უმაღლესი კვალიფიკაცია.

ნათელა გამისონია-ჯგუბურია

(1932 - 2017 წ.წ.),

ოქუმის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი 1950 - 1992 წლებში.

ამაგდარი
მასწავლებლები

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლები:

ჯგუბურია - ფარფალია თამარი
შამათავა ირეოდი
შამათავა დომენტი
ჯანჯულია კონსტანტინე

აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებლები:

შონია იასონი
ბეკვერია იასონი
დავითაია ლიდა
ქვაჩახია ვანო
კოზმავა ივანე
შამათავა ჟენია
ჯანჯულია ოლღა
ნაყოფია - ზუხბაია დუნია
კუპრავა - კაკუბავა ალექსანდრა (შურა)
ბულისკერია ნოე
ბულისკერია ვარლამი

თამარ ჯგუბურია - ფარფალია

(1910 - 1994)

თამარ ჯგუბურია-ფარფალია დაიბადა 1910 წელს სოფელ ოქუმში.

ოქუმის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა გალის ცხრაწლედში, რომელიც დაამთავრა 1926 წელს.

1926-1932 წ.წ. - მასწავლებელი, ოქუმის შვიდწლიან სკოლა. იყო სოფელ ოქუმში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის ხელმძღვანელი და ქალთა განყოფილების გამგე.

1932 – 1936 სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1936-1939 წ.წ. - ოქუმის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ.

1939-1944 წ.წ. - ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი იყო.

1941-1945 წ.წ. - მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოქუმის გამანადგურებელი ბატალიონის პოლიტხელი.

1944-1950 წ.წ. - აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილე - სამინისტროს კადრების განყოფილების გამგე.

1950-52 წ.წ. - გალის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი.

1952 - 1964 წ.წ. - ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი.

ქ-ნი თამარი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით, ქების სიგელებით. 1940 წლიდან 1963 წლამდე არჩეული იყო რაიონული საბჭოს ყველა არჩევის დეპუტატად, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

აფხაზეთის ომის დამთავრებამდე, 1993 წლამდე, ცხოვრობდა გალში. გარდაიცვალა 1994 წელს - დაკრძალულია ქ.თბილისში.

კონსტანტინე ჯანჯულია

(1910 - 1993)

ერთ -ერთი გამორჩეული და დიდად დაფასებული პედაგოგი და მოღვაწე მთელ აფხაზეთში თავისი პროფესიული, ორგანიზატორული და ადამიანური თვისებებით - საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი კონსტანტინე ჯანჯულია დაიბადა 1910 წელს სამურზაყანოს მაზრის სოფ.ოქუმში, სადაც მიიღო საწყისი არასრული საშუალო განათლება.

1930 წლიდან კონსტანტინე ჯანჯულია სწავლობს ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1935 წლიდან მუშაობას იწყებს მშობლიურ სკოლაში ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც იგი ერთი პერიოდი სკოლის დირექტორის თანამდებობასაც იკავებდა.

კონსტანტინე ჯანჯულია პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობას: მუშაობდა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს აპარატში, ხოლო შემდგომ ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქტორად. მისი სტიქია მაინც სკოლა და ახალგაზრდა თაობის აღზრდა იყო, რასაც მან თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი

მოახმარა - ათწლეულების განმავლობაში კ.ჯანჯულია ქ.ოჩამჩირის #1 საშუალო სკოლის დირექტორად და იმავდროულად ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა, სადაც მან უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი მოიხვეჭა როგორც სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივში, ასევე ქალაქის საზოგადოების წინაშე, რისი აღიარებაც მისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭებით დაგვირგვინდა.

კ.ჯანჯულია იყო იმ პლეადის და პროფესიული გაერთიანების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომელთა საქმიანობა აფხაზეთის ქართული საზოგადოებაში თავისი აკადემიური, პროფესიული, ადმინისტრატორული, მორალური და ადამიანური თვისებებით ყოველვის სანიმუშო და მისაბაძი იყო, გარკვეული ორიენტირი და მაგალითი იყო მომავალი თაობებისთვის.



ლიდა ბულისკერია

აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი ლიდა ბულისკერია დაიბადა 1905 წელს, გარდაიცვალა 1990 წელს. დაწყებითი კლასების მასწავლებელი 51 - წლიანი გამოცდილებით (სტაჟით)

ტერენტი შელია

ტერენტი ხარიტონის ძე შელია დაიბადა 1914 წელს სამურზაყანოში. განათლება მიიღო ოქუმის პირველდაწყებით სკოლაში, შემდეგ ათწლედში.

1933 წლიდან, ადრეულ ასაკში, მუშაობდა მასწავლებლად ჩხორთოლის სკოლაში. 1938 წლიდან კი ოქუმის საშუალო სკოლაში ასწავლიდა.

1941 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იყო სამამულო ომის აქტიური მონაწილე. 1946 წელს, ომის დასრულების შემდეგ, იგი მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა.

1948 წელს დაიწყო მუშაობა ოქუმის საშუალო სკოლაში, სადაც იმუშავა 1975 წლამდე. სკოლაში მუშაობის პერიოდში მან დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოსწავლეების, პედაგოგიური კოლექტივისა და საზოგადოებისგან.

ტერენტი შელია იყო აქტიური, შრომისმოყვარე და ახალი თაოსნობების ორგანიზატორი. ზომიერება და სამართლიანობა - იყო მისი პიროვნების ძირითადი მახასიათებლები. მისი შრომა დაფასებული იყო მედლებით და ორდენით.

1971 წელს მიენიჭა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ტერენტი შელია გარდაიცვალა 1990 წელს. დაკრძალულია სოფელ ოქუმში, საოჯახო აკლდამაში.

ოქუმის სკოლის კურსდამთავრებული სოციალისტური შრომის გმირები:

1. ჯგუბურია გიორგი
2. ქვაჩახია ჩოქოლი
3. ბულისკერია კალისტრატე
4. ბულისკერია ლუბა
5. ბულისკერია იმენა
6. ბულისკერია ნათელა (ჟიტი)
7. ბულისკერია ლაისო
8. ჯუმუტია სერამიდა
9. შამათავა ცაბალა
10. სირგინავა ჯოგო
11. შამათავა ალია
12. ახვლედიანი ძიკა
13. გამისონია ჯოჯო
14. სამუშია კირილე
15. შონია ხუხუტი

ოქუმის საშუალო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები:

ოქროს მედალოსნები:

1. ქეცბაია ნოდარი
2. ჯგუბურია ბიჭიკო
3. ქეცბაია სოსო
4. ჯგუბურია ვაჟა
5. ხუბუტია გიორგი

ვერცხლის მედალოსნები:

1. ჩერქეზია ვაჟა
2. რიგვავა თამარ
3. ზუხბაია აზა
4. რიგვავა ნაზი
5. ლაცუზბაია როზა

ნოდარ ქეცბაია

(1933 – 1998)

ნოდარ არტემის ძე ქეცბაია იყო ერთ -ერთი პირველთაგანი აფხაზეთის ასსრ-ში, რომელმაც 1950 წელს, სსრკ-ში 1945 წელს შემოღებული ახალი რეგულაციის: საშუალო სკოლის დამთავრებისას გამოვლენილი „განსაკუთრებული წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მიიღო ოქუმის საშუალო სკოლის სანიმუშო შედეგებით დამთავრების ატესტატი და ოქროს მედალი. ამ კატეგორიის საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი და აღნიშნული „ოქროს მედალი“ მას საშუალებას აძლევდა სწავლა გაეგრძელებინა სსრკ ნებისმიერ სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებელში.

1951 წელს ნოდარ ქეცბაია აფხაზეთის ახალგაზრდობიდან პირველი ჩაირიცხა მაშინდელი სსრკ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და სახელოვან გ.პლეხანოვის სახელობის მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში (МИНХ им.Г.ПЛЕХ-АНОВА, დღევანდელი გ. პლეხანოვის სახ. რუსეთის ეკონომიკური უნივერსიტეტი - РЭУ им.Г.ПЛЕХАНОВА), რომელიც ამზადებდა მთელი საბჭოთა კავშირისა და განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებისთვის უმაღლესი კვალიფიკაციის საინჟინრო-ეკონომიკური პროფილის სპეციალისტებს, ე.წ. „მრეწველობის გენერლებს“.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს, ახალგაზრდა ინჟიერ-ეკონომისტი ნ.ქეცბაია სამუშაოდ გაანაწილეს იმდროინდელი საქართველოსა და აფხაზეთის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ქალაქ ტყვარჩელში (სამთო-მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა-ქვანახშირის შახტები, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, სამხრეთ კავკასიის უდიდესი თბოელექტროსადგური, სარემონტო-მექანიკური საწარმოები, ხე-ტყის და სამშენებლო მასალების წარმოება, სარკინიგზო - სატვირთო გადაზიდვები და სხვ.) - ქვანახშირის შახტში ინჟინრად, სადაც მან 1960 წლამდე იმუშავა.

1960 წელს უკვე გამოცდილი სპეციალისტი დააწინაურეს ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სისტემის მეტად მნიშვნელოვან უწყებაში -„აფხაზსოფლტექნიკაში“ მმართველის მოადგილედ - ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილის რანგში.

ნოდარ ქეცბაიას, როგორ გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, სამუშაოდ აგზავნიდნენ სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგების საკვანძო თანამდებობებზე:

მუშაობდა „აფხაზპურპროდუქტების“ რესპუბლიკური გაერთიანების მმართველად, აფხაზეთის ასსრ სამაცივრო მეურნეობების (მაცივარ - ქარხნების) გაერთიანების - სოხუმის მეთაური ქარხანა-მაცივრის დირექტორად (1978 წლამდე), შემდეგ -სოხუმის „მუშათა მომარაგების გაერთიანების“ დირექტორის მოადგილედ, ხოლო1993 წლამდე -აფხაზეთის ომის დამთავრებამდე - მუშაობდა აფხაზეთის აგროსამრეწველო კომპლექსის („სახაგრომრეწვი“) სამრეწველო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსად.

მიღებული ჰქონდა სახელმწიფოს ორდენები და მედლები, მინიჭებული ჰქონდა “აფხაზეთი ასსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას - 1992/1993 წლებში, აფხაზეთის ომის პერიოდში, მუშაობდა აფხაზეთის თავდაცვის საბჭოში, სოხუმის სამრეწველო-კვებითი ობიექტების ფუნქციონირების საკორდინაციო საბჭოს წევრად.

ნოდარ ქეცბაიას იყო სოხუმში და მთლიან აფხაზეთში ერთ-ერთი სანიმუშო და დაფასებული ოჯახის პატრონი : მეუღლე - ლამარა ქაჯაია, აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, სანიმუშო მეუღლე და დედა , გარდაიცვალა 2018 წელს, დაკრძალულია ქ.თბილისში.

შვილები : ზურაბი, დაამთავრა ქ.რიგის სამედიცინო უნივერსიტეტი. მედიცინის დოქტორი, ერთ-ერთი გამორჩეული ქირურგი ლატვიის რესპუბლიკაში, ლატვიის მოქალაქე, ცხოვრობს და საქმიანობს ქ.რიგაში.

ლევანი - ეკონომისტი, ბიზნესმენი. აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილე-საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის საბრძოლო მომზადების უფროსი და სპეცდანიშნულების რაზმის „სკორპიონის“ მეთაური, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ცხოვრობს დ საქმიანობს ქ.თბილისში.

ბიჭიკო ჯგუბურია

(1932 – 2020)

ბიჭიკო გუჯას ძე ჯგუბურია დაიბადა 1932 წელს ოქუმში, ოჯახში, სადაც შრომისა და სწავლის მიმართ დამოკიდებულება ცხოვრების კეთისინდისიერების საზომს და განსაკუთრებული პიროვნული პატივისცემის საგანს წარმოადგენდა. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ რამოდენიმე გამორჩეულ ადამიანთა შორის, ვისაც პატივად ერგო 1949 წელს ოქუმის საშუალო სკოლის დამთავრებისას გამოვლენილი „განსაკუთრებული წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მიეღო საშუალო განათლების დამადასტურებელი წარჩინებული სწავლის ატესტატი და ოქროს მედალი.

1949 წელს ბიჭიკო ჯგუბურია ჩაირიცხა სოხუმის ა.მ.გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც მან წარჩინებით 1953 წელს დაამთავრა და იმავე წელს დაიწყო პროფესიული საქმიანობა - ისტორიის მასწავლებლად მუშაობა მშობლიურ, ოქუმის საშუალო სკოლაში. აქედან დაიწყო მისი, როგორც გამორჩეული პედაგოგისა და შემდგომში, როგორც წარმატებული სამეურნეო ხელმძღვანელის, დიდი და შინაარსიანი გზა.

1968 წლიდან პარტიულ სამუშაოზე გადაჰყავთ - ოქუმის ვ. ი. ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად, შემდეგ კი ირჩევენ

ოქუმის სასოფლო საქოს თავმჯდომარედ, სადაც მან 1974 წლამდე იმუშავა.

ბიჭიკო ჯგუბურია, მისი პროფესიული საქმიანობის და დიდი საზოგადოებრივი დატვირთვის მიუხედავად, მუდმივად ახერხებდა საკუთარი აკადემიური განათლების სრულყოფას - მან 1974 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქ.სოხუმში და მიიღო „სწავლული აგრონომის“ კვალიფიკაცია.

1975 წლიდან ბიჭიკო ჯგუბურია სამუშოდ გადაჰყავთ გალის რაიონის ღუმურიშის გ.ფარფალიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც მან 1991 წლამდე იმუშავა.

პროფესიული საქმიანობის პარალელურად ბ.ჯგუბურია დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა - 1968 – 1990 წლებში მრავალჯერ იყო არჩეული სახალხო დეპუტატთა გალის რაიონული საბჭოს წევრად, ოქუმისა და ღუმურიშის სასოფლო საბჭოების დეპუტატად.

დიდი პიროვნული ტრაგედიები არგუნა ბედმა ბიჭიკო ჯგუბურიას: 1994 წელს ოქუმში განხორციელებული აფხაზურ-რუსულ სადამსჯელო ოპერაციას შეეწირა მისი მეუღლე - დამსახურებული სამეურნეო მუშაკი, ეკონომისტი ალექსანდრა(შურა) ლემონჯავა, იმავე დღეებში აფხაზურმა ტყვიამ იმსხვეპლა მისი სიძე -მირიან შონია, ხოლო მოგვიანებით, 2001 წელს ტრაგიკულად დაიღუპა აფხაზეთის ოკუპაციის შედეგად რუსეთში, მოსკოვში გადახვეწილი მისი უფროსი ვაჟი - დავით ჯგუბურია - თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, დიდი პოტენციალისა და შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი.

შთამომავლობას და მის აღზრდილ თაობას ის სამუდამოდ დაამახსოვრდათ, როგორც საყვარელი პედაგოგი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე, განათლების, კულტურის და შემოქმედების უზომო მოტრფიალე და დამფასებელი, ირგვლივ მყოფთა პატივსაცემად მომართული, შეჭირვებულთა მფარველი და გარშემომყოფებზე მოამაგე კაცი.

გარდაიცვალა 2020 წლის დეკემბერში, მშობლიურ ოქუმში, საკუთარ სახლში და იქვე მიებარა მამა-პაპათა სამუდამო განსასვენებელ ადგილს -საგვარეულო სასაფლაოს.

სოსო გრიგოლის ძე ქეცბაია

(1932 – 2005)

სოსო ქეცბაია დაიბადა 1932 წელს, ოქუმში, პროვიზორის - გრიგოლ (გრიშა) ქეცბაიას ოჯახში.

1949 წელს წარჩინებით - ოქროს მედალზე დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა.

1950 წელს ჩაირიცხა და 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი,ექიმ - პედიატრის კვალიფიკაციით.

1957 წლიდან მუშაობდა ექიმ-პედიატრად აფხაზეთის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში : იყო რიგითი ექიმი ოქუმის საუბნო საავადმყოფოში, სადაც ის შემდგომში, წლების განმავლობაში, მთავარი ექიმის პოსტს იკავებდა.

60-იანი წლეში ს.ქეცბაია სამუშაოდ გადავიდა ქ.სოხუმში, მაშინ ახლადგახსნილი რესპუბლიკური საავადმყოფოს პედიატრიული განყოფილების უფროსად, სადაც მან 1993 წლამდე, აფხაზეთში ომის დამთავრებამდე, იმუშავა. ს.ქეცბაია აღნიშნულ პერიოდში იკავებდა აფხაზეთის ასსრ მთავარი პედიატრის პოსტს.

1993 წლიდან, აფხაზეთის ომის შემდგომ, ცხოვრობდა ქ.თბილისში.

სოსო ქეცბაია გარდაიცვალა 2005 წელს.

ვაჟა ჯგუბურია

მოულოდნელად, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა გალის რაიონის სოფელ ოქუმის მკვიდრი ვაჟა აკაკის ძე ჯგუბურია. წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო, უმაღლესი დონის პროფესიონალი მუშაკი და გულისხმიერი მეგობარი, ჩვენი ქვეყნის კეთილშობილი პატრიოტი და მოსიყვარულე მამა, დიდსულოვანი ადამიანი და ერუდირებული მოქალაქე.

ვაჟა ჯგუბურიამ 1954 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა, 1955 წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1961 წელს. 1961 წლიდან მან მუშაობა დაიწყო „საქჩაის“ გაერთიანების სისტემაში, სადაც რიგითი მოსამსახურიდან გაიარა გზა ჩაის ფაბრიკის დირექტორამდე. იგი სხვადასხვა დროს, 1966 წლიდან 1988 წლამდე, მუშაობდა გალის რაიონის აჩიგვარის, ნაბაკევის, ზემო ბარღების, ჭუბურხინჯის, ოქუმის ჩაის ფაბრიკის დირექტორად.

ყველგან, სადაც კი მან იმუშავა, სახელი გაითქვა როგორც გამოცდილმა სპეციალისტმა და საქმის ზედმიწევნით მცოდნემ. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელშეწყობით წარმოებაში ინერგებოდა ახალი ტექნოლოგიური პროცესები და იდგმებოდა მანქანა-დანადგარები, ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა

კადრების აღზრდასა და შრომით კოლექტივში მაღალი საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას. იგი იყო კაცი, რომელიც თავისი საქმიანობითა და არსებით ყოველთვის განასახიერებდა გულმართალი, მზრუნველი, კეთილი და მართალი ადამიანის სახეს. მის პიროვნებაში საოცარი ძალით იყო შერწყმული დიდი სითბო, მაღალი პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და თანადგომა სიკეთისა და კეთილსინდისიერი ადამიანებისადმი, იგი თავისი შრომითა და ცხოვრებით წარმოადგენდა სამაგალითო პიროვნებას ყველასათვის.

მოყვასის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ საოცარი გამძლეობით იტანდა ბოლო დროს აფხაზეთის ქართველობაზე თავდატეხილ უბედურებას და ღრმად სწამდა, რომ კვლავ დავუბრუნდებოდით ჩვენს საყვარელ აფხაზეთს, ჩვენს მშობლიურ სახლებს და მამა-პაპათა საფლავებს.

ჯანმრთელობამ უმტყუნა ბატონ ვაჟას. უეცრად დაგვეკარგა ნათელი სულისა და კეთილი გულის ადამიანი, მოსიყვარულე მეუღლე და მზრუნველი მამა.

ვაჟა ჯგუბურიას ხსოვნა მარად დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მისი საყვარელი ოქუმის მადლიანი, ქართული მიწა.

გიორგი პარმენის ძე ხუბუტია

გიორგი დაიბადა 1934 წელს ქ.გალში.

1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა გალის რაიონის სოფელ ოქუმის საშუალო სკოლა. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. ხუბუტია მუშაობდა საქართველოს ალკკ გალის რაიკომში ინსტრუქტორად. 1961-64 წლებში იყო ღუმურიშის 8წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ისტორიის მასწავლებელი. ამავე წლებში წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურას.

1967 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ხუბუტია მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, როგორც მეცნიერ-მუშაკი. იგი გამოირჩეოდა ნათელი ნიჭითა და ფართო ერუდიციით. გ.ხუბუტიამ ღირსეული წვლილი შეიტანა რესპუბლიკის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა-წარმოჩენაში. აღმოაჩინა და შეისწავლა პირველყოფილი ადამიანების სადგომები გალის რაიონის ტერიტორიაზე. ძეგლების აღმოჩენის საოცარი ალღო ჰქონდა. იყო მრავალი არქეოლოგიური ექსპედიიციის აქტიური წევრი. მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო ოქუმის I ზედაპალეოლოგიური მღვიმე, რომლის გათხრა დამთავრდა 1972 წელს. ეს მღვიმე საქართველოს შავიზღვისპირეთის პირველი მრავალფენიანი ძეგლია.



ვაჟა ჩერქეზია

ვაჟა ტრიფონის ძე ჩერქეზია - დაიბადა 1947 წლის 10 მაისს, გალში, მოსამსახურის ოჯახში.

1953 -1963 წლებში სწავლობდა გალის რაიონ სოფელ ოქუმის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა ვერცხლის მედალზე.

1963-1968 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, სპეციალობა „ინჟინერ-მშენებელი“.

1970 წელს მუშაობას იწყებს ოჩამჩირის რაიონთაშორისი სამშენებლო ტრესტის გალის მოძრავ-მექანიზირებული უბნის ინჟინრად. იმავე წელს დაინიშნა გალის რაიონ ზემო ბარღების ჩაის ფაბრიკის ინჟინერ-მშენებლად.

1974 წელს დაინიშნა გალის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

1979-1992 წლებში მუშაობდა გალის რაიონის სასოფლო ობიექტების სამშენებლო-სარემონტო სამმართველოში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე (იმავდროულად ითვლებოდა სამმართველოს უფროსის მოადგილედ).

ვაჟა ჩერქეზია გარდაიცვალა 2009 წლის 10 აპრილს.

მშობლები:

დედა - თინათინ სამსონის ასული გეგენავა-ჩერქეზია, პროფესიით - პედაგოგი;

მამა - ტრიფონ კოკოს ძე ჩერქეზია, პროფესიით - ინჟინერ-ტექნოლოგი.

მეუღლე - გულნარა ჩიმას ასული ბულისკერია, ფილოლოგი - აფხაზეთის ომისშემდგომ პერიოდში ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი.

შვილი - ნანა ჩერქეზია, ფილოლოგი

შვილი - გიგა ჩერქეზია, იურისტი.



თამარ არხიპოს ასული რიგვავა

თამარ რიგვავა დაიბადა 1948 წლის 6 თებერვალს სოფ.ოქუმში.

1954 წელს შეიყვანეს ოქუმის საშუალო სკოლის პირველ კლასში, რომელიც დაამთავრა 1966 წელს ვერცხლის მედალზე.

1967 წელს ჩაირიცხა თბილისის ფარმაცევტულ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ.ოჩამჩირის ცენტრალურ აფთიაქში. შემდგომში იგი ზემოთხსენებული აფთიაქის გამგის მოადგილე იყო 1993 წლის აფხაზეთის ომის დამთავრებამდე.

ამჟამად პენსიაზე იმყოფება და ცხოვრობს ქ.ზუგდიდში.

ნაზი ხუტას ასული რიგვავა

ნაზი რიგვავა დაიბადა 1948 წელს გალის რაიონ სოფელ ოქუმში.

1966 წელს დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე.

1968 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1975 წელს დაამთავრა.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო ოქუმის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1976 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქ.ოჩამჩირეში და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის ოჩამჩირის #15 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1993 წლიდან, აფხაზეთის ომის დამთავრების შემდგომ ცხოვრობს ქ.თბილისში.



აზა ზუხბაია

აზა ზუხბაია დაიბადა 1949 წელს, ოქუმში - გამორჩეულ ოჯახში: მამა - შალვა ზუხბაია, სამამულო ომის ვეტერანი, ოფიცერი, ინჟინრის სამოქალაქო სპეციალობით და დედა - დუნია ნაყოფია, შესანიშნავი გერმანისტი, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი.

აზაა ზუხბაიამ ოქუმის საშუალო სკოლა წარჩინებით - ვერცხლის მედალზე 1967 წელს დაამთავრა.

1967 წელს აზა ზუხბაია ჩაირიცხა ქ.სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ქართულ სექტორზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973 წელს ისტორიის მასწავლებლი კვალიფიკაციით.

მუშაობდა ქ.სოხუმის №1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

1993 წლიდან, აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში, ცხოვრობს ქ.თბილისში. პენსიონერი.

როზა ლაცუზბაია

დაიბადა 1951 წელს ოქუმში - გამორჩეული მოქალაქეების: შოთა ლაცუზბაიას -სამამულო ომიდან კაპიტნის წოდებით დაბრუნებული, ოქუმელი ფინანსისტის და თალიკო ქეცბაიას - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელის ოჯახში.

1968 წელს წარჩინებით - ვერცხლის მედალზე დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა, ხოლომ 1969 წლიდან სწავლა განაგრძო ქ.სარატოვის (რსფსრ) სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1974 წელს. ორდინატურისა დამთავრების შემდეგ სპეციალობით მუშაობდა ქ. სარატოვში, ხოლო 1996 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. თბილისში და მუშაობდა ოჯახის ექიმად.

ამჟამად ცხოვრობს ქ.თბილისში, იმყოფება პენსიაზე.

ოქუმის სკოლის გამორჩეული კურსდამთავრებულები:

გრიგოლ (ჯერო) კონსტანტინეს ძე შერვაშიძე

აფხაზ მთავართა პირდაპირი შტო - მათი შთამომავალი - ბელარუსის ლეგენდარული პარტიზანული მოძრაობის ერთ - ერთი გამორჩეული სახის, ბელარუსის სსრ საპატიო მოქალაქის, სამხედრო კონტრდაზვერვა "СМЕРШ" ოფიცრის, უამრავი სამხედრო ორდენისა და მედლის კავალერის (1944 წელს საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარდგენილ ახალგაზრდა, 27წლის ოფიცერს, მისმა დიდგვაროვნულმა წარმომავლობამ "შეუშალა ხელი") მხოლოდ ერთი - "საბრძოლო წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოების დოკუმენტი მაშინ გ.შ. მხოლოდ 25 - წლის უფროსი სერჟანტი, უმაღლესი საუნივერსიტეტო იურიდიული განათლებით, პარტიზანული ბრიგადის სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსი იყო!



ომის შემდგომ ქ. გაგრის პროკურორი.

სსრკ რა "ხალხთა საპყრობილე" იქნებოდა, რომ ომმგამოვლი ახალგაზრდა იურისტისთვის მისი თავადური წარმოშობა ეპატიებინა - მის ბიოგრაფიაში აღმოჩენილი "საშინელი დარღვევის" გამო რეპრესირებული იქნა და მხოლოდ 1954 წელს ამნისტიით დაუბრუნდა სამშობლოს შემდეგ, 1956 წელს, რეაბილიტირებული იქნა.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე (90-იანების დასაწყისამდე) მუშაობდა ენგურის ქაღალდკომბინატის იურიდიული სამსახურის უფროსად - გენერალური დირექტორის ბ- ნი ოთარ ფაცაცია ერთ-ერთ მოადგილედ.

ასეთები იყვნენ ქართველები ფაშიზმის წინააღმდეგ ომში - არა ყალბი და გამოგონილი, არამედ რეალური გმირები.

დიდება მათ ხსოვნას!



271

Все графы заполнять полностью

НАГРАДНОЙ ЛИСТ

1. Фамилия, имя и отчество ШЕРВАШИДЗЕ Григорий Константинович

2. Звание ст. сержант 3. Должность, часть Командир партизанского отряда № 7 бригады Марченко

Представляется к ордену Красного Знамени

4. Год рождения 1917 5. Национальность Грузин 6. Партийность Канд. ВКП/б/

7. Участие в гражданской войне, последующих боевых действиях по защите СССР и отечественной войне (где, когда) В отечествен. войне -в тылу противника

8. Имеет ли ранения и контузии в отечественной войне ранен два раза

9. С какого времени в Красной Армии с 1939 г.

10. С какого времени в партизанском отряде с июня 1942 года.

11. Чем ранее награжден (за какие отличия) Медалью "Партизану Отечественной войны" I степени

12. Адрес места рождения представляемого к награждению и адрес его семьи г. Тбилиси, Зугдытский район, село Орсанжия

I. Краткое, конкретное изложение личного боевого подвига или заслуг

Тов. Шервашидзе, находясь в тылу врага и работая на смолзаводе (дер. Залесье, Юровичского с/с, Полоцкого р-на) проводил политмассовую работу по организации п/отряда. К концу мая 1942 г. создал группу скрытого п/отряда в 40 чел.
В июне м-це 1942 г. из немецкого г-на Соколище доставил в отряд бронебойно-зажигательных патрон 50000 и разгромил Юровичскую сельскую управу.
С 20 июля по 15 сентября его отрядом спущено под откос 3 вражеских эшелона с живой силой, боеприпасами, техникой, взорвано ж.д. котлована. Убито и ранено 504 немца, из них 14 офицеров, расстреляно врагов народа 10 чел.
Организовал хорошую работу контрразведки как в бригаде, так среди населения. За это время им выявлено ряд немецких шпионов и расстреляно.
В апреле 1943 г. при атаке немцев лично в упор убил 5 немецк. солдат.
В мае м-це с группой бойцов в 60 чел. зашел в тыл одного вражеского батальона и открыл ураганный огонь. Убито 83 и ранено 9 власовцев. В этом бою был ранен. В мае и июне 1943г. отрядом спущено 3 вражеских эшелона.

Достоин правительственной награды ордена Красного Знамени

Начальник Белорусского штаба партизанского движения - (П. Калинин)

" ноября 1943 г.

შოთა ივანეს ძე ჯგუბურია

(1920 -1941)

შოთა ჯგუბურია დაიბადა 1920 წელს ოქუმში, საქართველოს I რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცრის, შტაბს-კაპიტან ივანე ჯგუბურიას ოჯახში. მამამისი - ივანე ჯგუბურია იმ პერიოდში იკავებდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სამხედრო თანაშემწის პოსტს.

შოთა ჯგუბურიამ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა ახლადგახსნილი ოქუმის საშუალო სკოლის სრული კურსი და იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. წარჩინებული სტუდენტი, საკავშირო ალკკ ყრილობის დელეგატი, ისტორიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი საგანგებო, ე.წ. „სტალინური გაწვევით“, მობილიზირებული იქნა საბჭოთა არმიის უმცროსი ოფიცრების მოსამზადებელ სპეციალურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ უმცროსი პოლიტხელის (ლეიტენანტი) რანგში გამწესებული იქნა სსრკ შემადგენლობაში ახლად შემოერთებული ლატვიის სსრ ლიბავის (ახლანდელი ქ.ლიეპაია, ლატვიის რესპუბლიკა) სამხედრო - საზღვაო ბაზის საჰაერო თავდაცვის სამხედრო ნაწილში, რომელიც 1941 წლის

22 ივნისს აღმოჩნდა გერმანული ვერმახტის შეტევის უმთავრესი მიმართულების ეპიცენტრში. გერმანული ჯარების „ჩრდილოეთის“ დაჯგუფების შეტევის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ბალტიის მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქები (ვილნიუსი, რიგა ტალინი) და საბჭოთა კავშირის მე-2 პოლიტიკურ -ეკონომიკური ცენტრი - ქ.ლენინგრადი.

ყოველგვარი მხარდაჭერისა და უკანდახევის შესაძლებლობებს მოკლებული ლიბავის გარნიზონი მთელი ოცი დღის განმავლობაში აკავებდა გერამული ვერმახტის რჩეული ნაწილების შეტევას, რამაც საბჭოთა სამხედრო სარდლობას საშუალება მისცა ლენინგრადის დაცვის ღონისძიებების გასაძლიერებლად. ყველა საბჭოთა სამხედრო არქივებში ეს გარნიზონი მთლიანად „უგზო-უკვლოდ დაკარგულად“ მოიხსენიება, ხოლო მათი გმირობის ერთადერთ მოგონებად გასული საუკუნის 70-იან წლებში გადაღებული შესანიშნავი საბჭოთა მხატვრული ფილმი „Город под липами“ შემორჩა.

ივანე ჯგუბურიას ოჯახში ათეული წლები რელიკვიად ინახებოდა უკვე უფროს ლეიტენანტშოთაჯგუბურიასჯარისკაცული,უკონვერტო,სამკუთხა,მოსალოდნელი ომის გარდაუვალობის, მაგრამ მისი წარმატებით დამთავრების, ოპტიმისტური, ბოლოს 1942 წლის ივნისის დასაწყისით დათარიღებული წერილები...

ვახტანგ იასონის ძე შონია

ვახტანგ შონია დაიბადა 1950 წლის 14 სექტემბერს გალის რაიონის ს.ოქუმში.

1967 წელს წარჩინებით დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა.

1968 წელს ჩაირიცხა ქ.სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1973 წელს.

1974 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად ოქუმის საშუალო სკოლაში, ამავე დროს იყო სოფლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

1975წლიდან მუშაობდა საქართველოს კომკავშირში, გალის რაიკომის ინსტრუქტორად.

1978 წლიდან მუშაობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში გალის რაიკომის ინსტრუქტორად.

1983 წლიდან მუშაობდა გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის კოლმეურნეობის თავჯდომარედ.

1983-1986 წლებში დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის (ქ.სოხუმი) აგრონომიული ფაკულტეტი 'სწავლული აგრონომის" კვალიფიკაციით.

1990 წლიდან იყო გალის რაიონის პრეფექტის მოადგილე.

1991 წლიდან იყო გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის I მოადგილე.

1994 წლიდან იყო ქ.ზუგდიდის გამგებლის მოადგილე დევნილებთან მუშაობის დარგში.

2000 წელს ტრაგიკულად დაიღუპა შეიარაღებული ბანდიტების თავდასხმის შედეგად.

"მხოლოდ რჩეულთ შეუძლიათ მოასწრონ ცხოვრების ხანმოკლე და საოცრად რთულ პერიოდში ის, რისი გაკეთებაც მან შესძლო: ისწავლა, იშრომა, იმოღვაწა და დიდი კაცის სახელი დატოვა! სადაც კი ყოფილა- სკოლაში, უნივერსიტეტში, სპორტში, სამხედრო სამსახურში, ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე- სახელმწიფო მართვის, სოფლის მეურნეობის თუ ეკონომიკის სფეროში, ყველგან პირველობა ჰქონდა დაბადებული! სულით და ხორცით ქართველისათვის არც დარდიმანდული ლაღობა იყო უცხო და ბოჰემურ ცხოვრებასაც ისე შვენოდა, როგორც უამრავ პრობლემებთან მედგარი შეჭიდება. თითქოს ყოველთვის ყველაფერს ასწრებდა, მაგრამ მისთვის უმნიშვნელოვანესს და მთავარს - ქალიშვილების ზრდასრულობას და მათ დაოჯახებას, შვილიშვილების დაფრთიანებას ვერ შეესწრო, ვერც ახლადშეძენილი მოყვრების გაცნობა და უამრავი ახლად ჩაფიქრებულ-დაწყებული, ქვეყნისა და საახლობლო-სამეგობროსთვის სასიკეთო საქმეების ბოლომდე მიყვანა მოასწრო".

(წიგნიდან „ოქუმელთა ასეული", ზ.ჯგუბურია, თბილისი, 2014წ.)

დაკრძალულია თბილისის საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 2003 წელს ტრაგიკულად დაღუპული ძმისშვილთან - კახა აკაკის ძე შონიასთან ერთად.

დიდება მათ სახელებს!

აკაკი გურგულია

აკაკი (ბორის) სევერიანეს ძე გურგულია დაიბადა 1941 წელს გალის რაიონის სოფ. ქუბურხინჯში, საიდანაც მამის სამამულო ომში დაღუპვის გამო ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა სოფ.ოქუმში.

1959 წელს დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა.

1965-1970 წლებში დაუსწრებლად სწავლობდა სოხუმის ა.მ.გორკის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე და პარალელურად მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

1974 წელს არჩეული იქნა სახალხო დეპუტატების ოქუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1975 წელს კი ოქუმის ვ.ი. ლენინის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1981-1987 წლებში მუშაობდა გალის რაიონის მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივნად, ხოლო 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1997 წლამდე, მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორად.

აფხაზეთში ომის შემდგომ განვითარებული განუკითხაობისა და ეთნიკური წმენდის პირობებში , 1997 წელს, პედაგოგი, სკოლის დირექტორი გახდა ბანდიტური თავდასხმის მსხვერპლი.

აკაკი(ბორის) გურგულიას დაწყებული საქმე - აფხაზეთის ომისშემდგომ პერიოდში ოქუმის საშუალო სკოლის ფუნქციონირების საკითხი მამის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ გააგრძელა მისმა უმცროსმა ქალიშვილმა მადლენა გურგულიამ, რომელის წარმატებული საქმიანობის შედეგად 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში და შემდგომ პერიოდში (2006-2015წ.წ.) ოქუმის საშუალო სკოლა ისევ გახდა დე-იურე აფხაზეთის ერთ-ერთი წამყვანი საშუალო განათლების კერა, რაც თანამედროვე აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ეროვნული კუთვნილების თემა - დღეისთვის სკოლა მთლიანად აფხაზურ-რუსული სისტემით ფუნქციონირებს.

ანზორ შოთას ძე ლაცუზბაია

ანზორ ლაცუზბაია დაიბადა გალის რაიონ სოფ. ოქუმში 1948 წელს.

1964 წელს წარჩინებით დაამთავრა ოქუმის საშუალო სკოლა.

1967 წელს ჩაირიცხა ქ. სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტში, სამართალმცოდ-ნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1972 წელს.

1973 წელს მუშაობა დაიწყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, სოხუმის საქალაქო მილიციის გამომძიებლად.

1974 წლიდან მუშაობდა ჯერ ქ. სოხუმის პროკურატურის უფროს გამომძიებლად, შემდეგ კი აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორად, ხოლო 1982 წლიდან გადაიყვანეს საქართველოს პროკურატურის ჯერ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებელად, შემდეგ კი დაინიშნა საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საკონტ-როლო სამმართველოს უფროსად - რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

1990 წელს დაინიშნა აფხაზეთის ასსრ პროკურორის I მოადგილედ, ხოლო 1992

წლიდან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად.

აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში მუშაობას აგრძელებდა საქართველოს პროკურატურის ცენტრალურ აპარატში - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის რანგში.

1993 წელს მიენიჭა იუსტიციის გენერალ-მაიორის (იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის) სპეციალური წოდება.

ანზორ ლაცუზბაია არის საქართველოს დამსახურებული იურისტი.

2019 წლიდან იმყოფება პენსიაზე და ცხოვრობს ქ.თბილისში.

„რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი იურისტი, აფხაზეთის პროკურორი ანზორ ლაცუზბაია - კეთილშობილი ადამიანი, დიდი გულისა და შესანიშნავი ოჯახის პატრონი - ომგამოვლილი მამის, კაპიტან შოთა ლაცუზბაიას საქმეების ღირსეული გამგრძელებელი“ (წიგნიდან „ოქუმელთა ასეული“, ზ.ჯგუბურია, თბილისი, 2014 წ.)

ფოტომატიანე

XX საუკუნის ოციანი წლების ოქუმის სკოლის მოსწავლეები

ოქუმის საშუალო სკოლის პედკოლექტივი, 1960-იანი წლები

აკაკი (ბორის) გურგულია, გულნარა ბულისკერია, ნუნუ გოგოხია, ლუიზა ჩერქეზია - მათ შეინარჩუნეს სკოლა აფხაზეთის ომის შემდგომ წლებში



ოქუმის საშუალო სკოლის გამორჩეული პედაგოგები - მათემატიკოსი ცოლ-ქმარი ალექსანდრა(შურა) კუპრავა და ნოშრევან კაკუბავა: ორივე ერთად სწავლობდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა - მათემატიკის ფაკულტეტზე და მერე მთელი შეგნებული ცხოვრება - 50 წელი შეალიეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს! 1980 წელს შურა კუპრავა - კაკუბავას მიენიჭა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.
1993 წლის ოქტომბერში აფხაზი სეპარატისტების დაქირავებულთა ხელით აღესრულა შესანიშნავი მოქალაქის და პედაგოგის ნ. კაკუბავას ცხოვრება.

ხუხუტი შონია -
სოციალისტური შრომის
გმირი



ხუხუტი და ვახტანგ
შონიები

ხუხუტი შონია და
ოთარ თაქთაქიშვილი

სოფელ ოქუმის საზოგადოება

იასონ შონია მეუღლესთან ერთად



გიორგი (ჟორა) შონია

(1928 - 2014)

პედაგოგი, ისტორიკოსი - დაამთავრა ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მუშაობდა ოქუმის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, ოქუმის არასრული და ჩხორთოლის საშუალო სკოლების დირექტორად, სახალხო დეპუტატების ოქუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ

იასონ (მარცხნიდან მეორე) და გიორგი შონიები (მარცხნიდან მესამე) ჩხორთოლის საშუალო სკოლის კოლეგებთან



ნოდარ ქეცბაია



ნოდარ ქეცბაია და
მეუღლე - ლამარა ქაჯაია

ნოდარ ქეცბაია სტუმრად ოქუმში, კ. ჯგუბურიას ოჯახში

მღვდელი ხარიტონ შელია ოჯახის წევრებთან ერთად. ხარიტონ შელია მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში იყო ოქუმის „უმაღლესი დაწყებითი ორგანყოფილებიანი სკოლის“ გამგე

ოქუმის საშუალო სკოლის პედკოლექტივი
(XX საუკუნის ოცდაათიანი წლები)

30 - იანი წლების ოქუმის სკოლის მასწავლებელი კონსტანტინე ჯგუბურია (დაიღუპა გერმანულ ფაშიზმთან ომში) და ალექსანდრა (შურა) სართანია - პოეტ მურმან ჯგუბურიას მშობლები

ოქუმის საშუალო სკოლის პედაგოგი ქალბატონები 80-იანი წლების ბოლოს

კონსტანტინე ჯანჯულია

ოქუმის სკოლის მასწავლებლები შაბათობაზე

ოქუმის ვ.ი.ლენინის სახ.კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოგელი ზუხბაია, აგრონომი ნატო შამათავა და ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ისტორია-ფილოლოგიის მასწავლებელი აკაკი შონია ახალგაზრდა კოლმეურნეებთან შეხვედრაზე

ოქუმის საშუალო სკოლის დამსახურებული პედაგოგები:
ხუტა რიგვავა, ბორის გურგულია, ირეოდი შამათავა, იასონ შონია,
ვანო ქვაჩახია და გიორგი (ჟორჟი) შამათავა

გიორგი ჯგუბურია თანამებრძოლებთან ერთად ომის შემდგომ პერიოდში

ბიჭიკო ჯგუბურია და მისი მეუღლე ალექსანდრა ლემონჯავა

ვაჟა და ბიჭიკო ჯგუბურიები კლავდია ფარფალიასთან ერთად

ვაჟა ჯგუბურია

ოქუმის საშუალო სკოლის ქართული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ გობეჯიშვილი (მარჯვნივ) და სკოლის პიონერხელმძღვანელი მიმოზა ჯგუბურია



მიხეილ და ივანე ჯგუბურიები,
სოხუმი, 1920 წ.



გრიგოლ ჯგუბურია

აბას გამისონია და ბროლისა გოცირიძე



ნათელა გამისონია-ჯგუბურია

ზ.ჯგუბურია, მამა ედიშერი (ვეფხვია კაპიტნის ძე ჯანჯულია) და ა.შონია

ოქუმის საშუალო სკოლია ამადგარი მასწავლებელი სვეტლანა ქუჩუბერია - ჯგუბურია (ფოტოზე მარცხნივ) და ცისანა გუნჯუა-ჯგუბურია

ვახტანგ ჯგუბურია და აკაკი (კაკო) შონია - ოქუმის საშუალო სკოლის 70 -იანი წლების კურსდამთავრებულები

დაწყებითი კლასის მასწავლებელი ნათელა გამისონია - ჯგუბურია გაკვეთილზე

მასწავლებლები: გრიგოლ ჯგუბურია, ლოლა გრიგოლაია, ირეოდი შამათავა (საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი), სვეტლანა ქუჩუბერია - ჯგუბურია და ნუნუ გოგოხია მოსწავლეებთან ერთად

„გზა, რომელიც ტაძრისკენ მიდის“ - ბედიის ტაძრის ფონზე

ფოტო მონიკა შამათავასი, 2021 წელი

დღევანდელი ოქუმელი მოსწავლეები ბედიის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე

მთავარი რედაქტორის სვეტი

ოქუმის სკოლის 170 - წლიან იუბილედან ათი წელიწადი მეც მეკუთვნის: შვიდი წელი როგორც მის მოსწავლეს და დამატებით სამი როგორც მის მასწავლებელს. ეს ათი წელიწადი ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია და რაც მთავარია - ჩემი ცხოვრების უმთავრეს მოვლენებს უკავშირდება: მერვე კლასიდან სწავლა თბილისის კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონში გავაგრძელე, ხოლო ოქუმის სკოლის მასწავლებლობის სამი წელი შეგნებული ცხოვრების დაწყების პირველ მთავარ ეტაპთანაა დაკავშირებული - ი.ჯავახიშვილის თსუ ფიზიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრებისა და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში პროფესიული 3-წლიანი სტაჟირების შემდეგ უკვე შემეძლო ჩემი პირველი მასწავლებლების გვერდით პედაგოგად მეც მოკრძალებულად დავმდგარიყავი.

აქედან კი იმ დროისთვის მთლად ფანტასტიკური სამყაროს კარები შევაღე - დროისა და გარემოებების საოცარი თანხვედრით მე წილად მერგო აფხაზეთიდან პირველს სწავლა გამეგრძელებინა მოსკოვის ე.წ. იუნესკოს სკოლაში, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისათვის განათლების დარგის ექსპერტ-კონსულტანტებს ამზადებდა.

მერე ჩემთვის იყო ახალი და ჯერ შეუცნობადი თავისუფალი სამყარო, რომელმაც ჩემს შემდგომ ცხოვრებაზე ტოტალური გავლენა იქონია...

მთავარი მაინც ოქუმის სკოლაა, რომელიც მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან დღემდე უპირობოდ აფხაზეთის პირველი საერო განათლების ცენტრია - ამ სკოლას თავიდანვე დაებადა ყოფილიყო ჭეშმარიტად ეროვნული კადრების აღზრდა-განათლების პირველწყარო, რომლის მართლაცდა უდიდეს საგანძურს მისი პედაგოგები და შეგირდები შეადგენდნენ!

მე და ჩემს თაობას უდიდესი ვალდებულება გაგვაჩნია წინა თაობების მიმართ, მითუმეტეს დღევანდელობაში, როცა მთელი აფხაზეთი რუსული ოკუპაციის ქვეშაა და ქართული სწავლა-განათლება კანონგარეშედ არის გამოცხადებული, როცა გარედან თავსმოხვეული „დამოუკიდებლობის“ ყალბი ლოზუნგის ქვეშ თვით ამ „დამოუკიდებლობის გარანტი“ საკუთარი ფიზიკური გადარჩენისათვის იბრძვის...

დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ოქუმის სკოლის 200-წლიან ისტორიას ერთ-ერთი იმ ოქუმელი მოსწავლეთაგანი დაწერს, რომელიც ახლა სკოლის მერხს უზის და ჩვენც, ჩემს თაობას, საკმაოდ ასაკოვანს და მრავალჭირგამოვლს, იმ დროს უკვე „ამ ქვეყნიდან მარადისობაში ღირსეულად გადასულ“ წინაპრებად მოგვიხსენიებს.

ზუსტად ესაა მარადისობის კანონი.

ამ მარადისობის ძეგლად და მემატიანედ ისევ ოქუმის სკოლა, მისი პედაგოგები და აღზრდილები იქნებიან!

ზურაბ ჯგუბურიას ნაშრომთა ფოტორეპროდუქცია